რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 3 თებერვალი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 27 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 27

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა"-ზე
ხელის მოწერის პირობები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 თვით | — 4 მან. 50 კ. | 6 თვით | — 27 მანეთი |
| 2 თვით | — 9 მანეთი. | 1 წლით | — 50 მანეთი |
| 3 თვით | — 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ. | |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,
შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის ღირებულობამ მოითხოვა.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА"
ამხ. და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი ოლა, შვილები: კოტე და ელენა, ძმები: მიხეილ, დავით, ესტატე და თედო; დები: რახილი, მარიამ და თებრო; რძლები: მარიამ, ანნა, სოფიო და მანია; სიძეები ზაქარია ყორღანოვი და კოტე ალნიაშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 2 თებერვალს დილის ხუთ საათზე უეცრათ გარდაიცვალა

**ილია გიორგის ძე [illegible]**

პანაშვიდი ყოველს საღამოს შვით საათზე ნაძალადევის უბანში ალაჯინის ქუჩა საკუთარ სახლში. დაკრძალვა მოხდება კვირას 4 თებერვალს. მიცვალებულს გამოასვენებენ დილის 9 ს. ნაძალადევის ეკლესიაში. (2—1)

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები: ლიზინე მახორბელის ასული და სევასტი სპირდონის ძე, მეუღლე: ელენე ივანეს ასული, ძმები: კალენიკე, ვალერიან, არკადი და აფრასიონ, დები: მარო და ზაბლონია, რძალი ბარბარე ზაქარიას ასული და სიძე სიმონ ანდრიას ძე იმნაძე, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ კვირას 4 თებერვალს ს. ორაგვის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად შავ ზღვაში დაღუპულ

**ესე სევასტის ძე კვაჭაძის**

სულის მოსახსენებლათ. (2—1)

შაბათს, 3 თებერვალს წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

**ნიკოლოზ სოფრომის ძის ფარულავას**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დამწუხრებული მისი მეუღლე ბარბარე იოსების ასული, შვილები თამარა და ნადია, სიდედრი ეკატერინე, ცოლის დები: მარიამი, ალექსანდრა, ნინა და ქვისლი ექიმი ივანე იოსების ძე ფუხაშვილი. (1—1)

31 იანვარს 1918 წ. ვერაგულად მოკლულ სოფ. ძეგვის კომისარის

**ვასილი ესტატეს ძის მამისაშვილის**

დაკრძალვა მოხდება შაბათს 3 თებერვალს დილის 10 საათ. სოფ. ძეგვში, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მის ამხანაგებს მეუღლე ნინო ალექსანდრეს ასული, დედა მარიამი, მამა, ბიძები და, და ნინო ესტატეს ასული. (1—1)

## სახელმწიფო თეატრი

დილის წარმოდგენა

კვირას, 4 თებერვალს, 1918 წ. ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი აზიური ოპერეტა

**არშინ-მალ-ალან**

ოპერეტა 4 მოქმ. გაჯიბეგოვისა, თარგ. გიგოშვილისა.

მონაწილენი

| | | | |
|---|---|---|---|
| სულთან-ბეგი | ვახო აბაშიძე. | თელი | ნ. ჯავახიშვილი |
| ასია | ტასო აბაშიძე. | გულჩორა | მ. გიგოშვილისა |
| ასკარა | ალ. იმედაშვილი | სულეიმანი | ნ. ჩავჭავაძე |
| ხალა | ე. ჩერქეზიშვილი | ველი | ი. შიუკაძე |

იქნება საკუთარი ტანისამოსი. დასაწყისი შუადღის სრულ 12 საათზე.
ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში.

(1—1) გამგე გ. იორდანიშვილი.

## სახლის კომიტეტები

როგორც გამოირკვა ქალაქში ყველა სახლებს ვერ მოუსწრია 1 თებერვლისათვის სახლის კომიტეტების არჩევა, ამიტომ თფილისის ქალაქის გამგეობისაგან 9 იანვრის თარიღით გამოცემული სავალდებულო დადგენილება (სახლის კომიტეტების შესახებ) რომლის თანახმად 1 თებერვლიდან პური უნდა მისცემოდა მხოლოდ სახლის კომიტეტებს—ძალაში შევა მხოლოდ 15 თებერვლიდან, ამ რიცხვისათვის კი ყველა სახლები ვალდებულია ამოირჩიონ სახლის კომიტეტები.

სახლები, რომელთაც ამორჩეული ჰყავთ ან და ამოირჩევენ 15 თებერვლამდი სახლის კომიტეტებს—პური მიეცემათ რიგის გარეშე.

(2—1) თფილისის ქალაქის გამგეობა.

## ბოლშევიკები ადგილობრივ მთავრობის წინააღმდეგ

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა ადგილობრივ მთავრობას ბრძოლა გამოუცხადეს და მის წინააღმდეგ სისტემატიურ შავრაზმულ აგიტაციას ეწევიან. პრესა და სიტყვით აგიტაცია იარაღათ გამოიყენეს და ჯარში და ყველა უკმაყოფილო ელემენტებში პროვოკატორულ დემაგოგიას ეწევიან და მათ იარაღით ხელში ამიერ-კავკასიის მთავრობისა და რევოლიუციონურ ორგანოების დამხობისაკენ მოუწოდებენ.

ამ შემთხვევაში ტიპიური ანარქისტები არავითარ ბრძოლის საშუალებას არ ერიდებიან, ბრძოლის იარაღს არ არჩევენ, ოღონდ კი დასახულ მიზანს წუთიერათ მიახწიონ და არსებულ დემოკრატიულ ორგანოებში მოიკალათონ. აქ ფრაქციონური ჟინიანობა და უმგვანო ავანტიურა პირველ ალაგს იჭერს და ამიერ-კავკასიის საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას ანგარიშს არ უწევენ.

ანარქო-ბლანკისტებმა თავიანთ დროშას სამოქალაქო ომი დემოკრატიის წინააღმდეგ წააწერეს და ხიშტები ემბლემათ გაიხადეს.

უნდა ითქვას, რომ მათ ასეთ დემაგოგიურ და ფსევდო სოციალისტურ აგიტაციას ერთგვარი ნიადაგი აქვს და მათ გარშემო სხვადასხვა ერის სხვადასხვა ნიადაგზე უკმაყოფილო ელემენტები თავს იყრიან.

ამიერ-კავკასია სხვადასხვა ეროვნებათა კონგლომერანტს წარმოადგენს. აქ მრავალი ერები ერთმანეთში არეულები სცხოვრობენ, თვითეულ ერში სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები სხვადასხვა ინტერესებს ემსახურებიან და მათ განსაზღვრული მიზანი აქვთ დასახული. მათ შორის არის მხოლოდ რევოლიუციონური დემოკრატია, რომლეიც ადგილობრივ რევოლიუციონურ ორგანოებსა და მათ აღმასრულებელ ორგანოს ნდობას უცხადებს. ეს აშკარათ დაამტკიცა დემოკრატიულმა არჩევნებმა, როგორც საქალაქო თვითმართველობების ისე დამფუძნებელ კრების არჩევნებში. ამიერ-კავკასიის დემოკრატიის გაერთიანებულ ფრონტს ხანგრძლივი ისტორია აქვს და იგი რევოლიუციონური ტრადიციით მჭიდროთ არის შეკავშირებული. აი ის ელემენტები, რომელზედაც დაყრდნობილია ამიერ-კავკასიის სოც.-დემოკრატ. პარტია. უკანასკნელი ძლიერია თვით ამ დემოკრატიული ელემენტების შეგნება-ორგანიზაციით და რევოლიუციონური დემოკრატიის მეთაურათ ამიერ-კავკასიის მუშათა კლასი გამოდიოდა.

თავისთავად საგულისხმოა ასეთი პარტია დღიდან თავისი გამოსვლისა მედგრათ აიმხედრებდა ყველა ანტიდემოკრატიულ ელემენტებს და მას მუდმივი მტრები გაუჩნდებოდენ. ამიერ-კავკასიის საზოგადოებრივი ისტორია ურიცხვია ამგვარ ფაქტებით და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ სხვადასხვა ერების გაბატონებული კლასები დაუნდობელ ბრძოლას ეწეოდენ. ქართველის, სომხის, თათრის, რუსის და სხვა ერების რეაქციონური და შოვინისტური კლასები ყოველ საზოგადოებრივ ბრძოლის დროს მის წინააღმდეგ გამოდიოდენ. როცა ამ ელემენტებს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ საზოგადოებრივ ასპარეზზე შეტაკება მოუხდებოდათ, ყველა მათგანი თავისებურ ბრძოლის საშუალებებს ხმარობდენ. ჩვეულებრივ ქართველი შოვინისტები და ნაციონალისტები სოც.-დემოკრატების წინააღმდეგ ფართო მასაში აგიტაციას ეწეოდენ, რომ უკანასკნელნი ერის არსებობის წინააღმდეგნი არიან და ნაციონალურ კულტურის და ენის მომსპობნი არიან. სხვა ერის გაბატონებული კლასები კი სოციალ-დემოკრატებს ნაციონალისტობას სწამებდენ და ამ გზით ცდილობდენ თავიანთ დემოკრატიულ ელემენტებში სახელის გატეხას. ყველა მოწინააღმდეგეს ერთი მიზანი ქონდათ დასახული: სოციალ-დემოკრატებისათვის სხვადასხვა ერის დემოკრატია ჩამოეშორებიათ და მისთვის საშუალება არ მიეცათ ძლიერ ინტერნაციონალურ პარტიათ გადაქცეულიყვნენ. ამ სახით სოციალ-დემოკრატიამ ყველა ერების გაბატონებული კლასები მტრათ გაიხადა და მის წინააღმდეგ მთელი ოცი წლის განმავლობაში შოვინისტურ აგიტაციას ეწეოდენ.

დღეს, როცა ამ პარტიას რუსეთის დიდი რევოლიუციის მეოხებით ძლიერი გამარჯვება ხვდა და იგი ძალა-უფლების პატრონათ გადაიქცა—კვლავ ეს ზევით დასახელებულ ერების რეაქციონერი კლასები სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მის რევოლიუციონური ორგანოების და ამიერ-კავკასიის მთავრობის წინააღმდეგ ამხედრდენ.

მათ გვერდში ამოუდგათ ადგილობრივი ბოლშევიკები. იმათთან ერთად ხმაშეტკბილებულათ ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ ილაშქრებენ. თქვენ წარმოიდგინეთ ყოფილ ბრწყინვალე წოდებისა და ბურჟუაზიული კლასების ორგანოები—განურჩევლად სხვადასხვა ერისა, მენშევიკურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის და მისი რევოლიუციონური ორგანოების დასამარცხებლათ დაირაზმენ და თავიანთ სიმპატიას ბოლშევიკებისადმი აღარ ფარავენ. პირველები უკანასკნელებთან აშკარა ბლოკს ეძებენ და ერთმანეთს ეარშიყებიან. ავგუსტ ბებელს ხშირათ უთქვამს: მე როცა რასმე ვიტყვი, უმალვე ბურჟ. ორგანოებს მივმართავ ხოლმე, უკეთუ იქ ჩემს აზრს იწონებენ, მაშინ ვიტყვი დავღუპულვარ და პარტიის პრინციპებისათვის მიღალატნიაო. თუ დამიწუნეს, მაშინ კი ამაყათ ვამბობ: მაშ მართალი მილაპარაკიაო.

სწორეთ ასეთ მდგომარეობაშია დღეს სოციალ-დემოკრატიული პარტია: ყველა ბურჟუაზიული კლასები მის წინააღმდეგ ამხედრდენ და ხალხს ამხედრებენ. სწორეთ ბოლშევიკებიც ასეთ ელემენტებში ეძებენ მოკავშირეებს და ნაციონალური შუღლისა და უკმაყოფილობის ნიადაგზე აპირებენ გამაგრებას. განსაკუთრებით ძლიერ მოკავშირეებს პოულობენ რუსის ეროვნებაში და მათ ყოველი საზიზღარი გზით რევოლიუციონური ორგანოებისა და ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ ამხედრებენ. აქ ბოლშევიკები სრულიათ მოშორდენ ჩვეულებრივ პარტიულ ნიადაგს და ნაციონალური შუღლა-შემოხლის საფუძველზე აპირებენ თავიანთ ავანტიურულ სიმაგრის აშენებას. მაგრამ ამაოთ. ამიერ-კავკასიის დემოკრატია იმდენათ გათვითცნობიერებულია, რომ მათ ანკესზე არ წამოეგება, ბოლშევიკების ასეთ იერიშებს მოიგერიებს და რევოლიუციონურ ორგანოებს მთლიანათ უზრუნველყოფს.

## ანარქისტული ბრძოლის საშუალებანი სოფლათ

გორის მაზრის ზოგიერთა სოფლებში უკმაყოფილო ელემენტები განსაკუთრებით კი ბრძოლის ველიდან დაბრუნებული ჯარის კაცები მემამულეების წინააღმდეგ ამხედრებულან, ანარქისტული ბრძოლის საშუალებანი შეუთვისებიათ და ზოგიერთა მემამულეები ამოუხოციათ.

ჩვენ ასეთ ბრძოლის საშუალებას მუდამ და ყოველთვის ვებრძოდით და მას არ ვიზიარებდით. სოციალდემოკრატები მეცნიერული სოციალიზმის შეხედულების მატარებლები სოციალური ცვლილების მოსახდენათ ტერორსა და ძალმომრეობას არ მივმართავთ. ასეთი ბრძოლის საშუალება დიდი ხანია დაგმობილია და მას რევოლიუციონურ საშუალებათ არ ვრაცხთ.

ამის მერე გამომდგარა ყოფილ თავად-აზნაურების ინტერესების დამცველი ორგანო „ვოზროჟდენიე" ტ სოციალდემოკრატიულ პარტიას გორის მაზრაში მომხდარ ამბების გამო პასუხის მგებელს ხდის. დასახელებულ ორგანოს ხელმძღვანელთ დავიწყებიათ, რომ ანარქია და ტერორი უწინარეს ყოვლისა გაბატონებულ კლასებისათვის და რეაქციონულ წოდებისათვის არის ხელ-საყრელი და არა რევოლიუციონურ სოციალდემოკრატიული პარტიისათვის.

განსაკუთრებით ახლა, როცა საჭიროა რევოლიუციონური წესი განმტკიცდეს, რევოლიუციონური დემოკრატიის ორგანიზაციების ასეთი ანარქისტული გამოსვლები რეაქციონერების წისქვილზე წყლის მიშვება იქნება და იმ დიდი საკითხის გადაჭრა, როგორიც არის მიწის საკითხი—საფრთხეში ჩავარდება.

მართალია, გლეხკაცობა უნუგეშო მდგომარეობაშია, მართალია, მას მიწა არ მოეპოვება და ბევრი სიმწუხარე და სივაგლახე ახსოვთ მემამულეებიდან და მათი მოურავებიდან, მაგრამ ასეთი უკმაყოფილება ყოველ საშუალებას არ ამართლებს. ამას მხოლოდ ანარქისტები ამბობენ, რომლებიც იძახიან: რევოლიუციონური ბრძოლის საშუალებანი ისეთი საშუალებაა, რომელიც უკანონობაზე არის აშენებული. მათი შეხედულებით მოკვლა-დარბევა, ოჯახების ამოწყვეტა დ ყუმბარების სროლა, უაღრესათ რევოლიუციონური საშუალებაა და ამ გზით ყველაზე ადრე უახლოვდებით ხალხის განთავისუფლებასო.

ჩვენ, სოციალ-დემოკრატები კი, ასეთ ბრძოლის საშუალებას ანტი-რევოლიუციონურათ ვსთვლით და იგი რევოლიუციის გამარჯვების მაგიერ რეაქციის გაძლიერებას გვიქადის. განსაკუთრებით ახლა, როცა რევოლიუციონური კლასები, მუშები და გლეხკაცობა ძლიერ რევოლიუციონურ მოძრაობას შეიცავენ. რეაქციონური კლასები მათთან შედარებით სუსტნი არიან. ჩვენ ასეთ ძალმომრეობას და ტერორს ვგმობთ და ხალხიდან შეგნებასა და რევოლიუციონურ ორგანიზაციების მოწყობას მოვითხოვთ.

მხოლოდ ასეთი შეგნება-შეკავშირების მეოხებით შეგვიძლია სავსებით დავაკმაყოფილოთ გლეხების მიწის მოთხოვნილება და აგრარული საკითხი გლეხების სასარგებლოთ დაჩქარებით გადავჭრათ.

ჩვენ ვიცით, თუ რუსეთში ანარქისტულმა მოძრაობამ როგორ გადასწყვიტა გლეხთათვის მიწის დიდი საკითხი. იქ ბოლშევიკების დეკრეტებისა და აგიტაციის მეოხებით გლეხებმა მხოლოდ დიდი მემამულეების სამეურნეო იარაღები ანარქისტულათ დაიტაცეს და მიწის დეკრეტი ცხოვრებაში არ გატარდა. გლეხთა ორგანიზაცია, სასოფლო კომიტეტების შედგენა, რევოლიუციონური წესის განმტკიცება, აი ის მთავარი პირობა, რომელიც გლეხკაცობას მიწას მიანიჭებს, მიწის დეკრეტს ცხოვრებაში გაატარებს. დანარჩენ საშუალებას, ანარქისტულ ბრძოლის მეთოდს სასტიკათ ვკიცხავთ და მას დაუნდობლათ ვებრძვით, მით უმეტეს ხოცვა-ჟლეტას. ჩვენ ორგანიზაციული ბრძოლის საშუალებით შევვიძლიან მემამულეებს მიწები ჩამოვართვათ და მით მათი საფრთხე თავიდან ავიცილოთ.

ძალმომრეობა და ხოცვა-ჟლეტა რეაქციის გაძლიერებას ნიშნავს და მას ჩვენ მთელი ჩვენი ენერგიით ვებრძვით და ვგმობთ.

## მობილიზაცია

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა უკვე გამოაქვეყნა ორი დეკრეტი მობილიზაციის შესახებ. პირველ დეკრეტით თხუთმეტ თებერვლისთვის სამხედრო სამსახურში იწვევენ ყველა იმ ახალგაზრდებს, რომელთაც ცხრამეტი წელიწადი შეუსრულდათ. მეორე დეკრეტით სამსახურში დაბრუნება ევალებათ ყველა იმ ახალგაზრდებს ოციდან ოცდახუთ წლამდე, რომელნიც ჯარში უნდა ყოფილიყვენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით სახლში იჯდენ. ამათ რიცხვში არიან აგრეთვე ეგრედ წოდებული თავდაცვის საქმეზე მომუშავენი, უკეთ რომ ვსთქვათ, ლეგალური დეზერტირები. შეღავათი არავის არ მიეცემა, გარდა ოჯახის ერთად-ერთ მარჩენალისა და აგრეთვე ისეთ მომუშავეებისა, რომელნიც საზოგადოებისთვის საჭირო დაწესებულებებში ითვლებიან—ასეთებია: რკინის გზის, ფოსტის, ტელეგრაფის, ტრამვაის, სტამბების და სხვ. მუშები.

ამ ნაირათ დაცულია სრული სამართლიანობა.

მობილიზაცია ხალხის თვალში სახელგატეხილია. ჩვენ ვიცით ძველი რეჟიმის დროს რას ნიშნავდა ეს. ამიტომ დემოკრატიის მტრები ეცდებიან თავის სასარგებლოთ გამოიყენონ კომისარიატის აღნიშნული დეკრეტები. დემოკრატიის ვალია მოხეტიალე არამზადების ფეხის ხმას არ აჰყვეს და არსებული მდგომარეობა სათანადოთ დააფასოს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოპოვებულ თავისუფლებას განსაცდელი მოელის. პეტროგრადში ბოლშევიკებმა გარეკეს ხალხის ნუგეში—დამფუძნებელი კრება და ამ გვარათ კავკასიასა და რუსეთს შორის ყოველივე კავშირი გაწყდა. ადგილობრივ საქმეების მოსაწყობათ გადაწყვეტილია მოწვეულ იქნას ამიერ-კავკასიის საოლქო სეიმი, რომელმაც ჯერ-ჯერობით დამფუძნებელ კრების მაგიერობა უნდა გასწიოს ამიერ-კავკასიისთვის, სანამ რუსეთის დამფ. კრ. შეიკრიბებოდეს. სეიმი შეიკრიბება ათს თებერვალს. ბევრი მტრები ყავს ხალხს და ესენი ეცდებიან სეიმიც ისე გარეკონ, როგორც რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკეს. ადგილობრივი დემოკრატია ვალდებულია მხარი დაუჭიროს ამ სეიმს, დემოკრატია ვალდებულია აქ, ამიერ კავკასიაში გამაგრდეს. ეს ორის მხრით იქნება საჭირო. აქ გამაგრებული დემოკრატია ხელს შეუწყობს რუსეთის საერთო ფრონტის შექმნას და სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევას. ხოლო თუ ეს არ მოხერხდა და შიდა რუსეთში რეაქცია დადგა, ადგილობრივი დემოკრატია რევოლიუციონურ კედლის სახით გადაეღობება ჩრდილოეთიდან მომავალ რეაქციას და ხალხის უფლებებს არავის გააქელვინებს.

ყველა ამისთვის შეიარაღებული ძალაა საჭირო. მთელი ხალხის შეიარაღებული ძალა საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ხალხის ინტერესების დასაცავად. ამისთვის უკვე გამომუშავებულია წესი საყოველთაო სახალხო მილიციის შესადგენათ, ვარჯიშობა უკვე დაწყებულია და რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენ უკვე საგრძნობი შეიარაღებული ძალა გვეყოლება საყოველთაო მილიციის სახით. მაგრამ ამ მილიციის გაწვრთნას მოუნდება დაახლოვებით ექვსი თვე. რევოლიუციის და იმ არევ-დარევის ხანაში, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ექვსი თვე იმდენათ დიდი დროა, რომ მის განმავლობაში შესაძლებელია ყველაფერი დავკარგოთ. ამიტომ საჭიროა ახლავე თოფს ქვეშ დავაყენოთ ერთი ნაწილი შეიარაღებულ ძალისა. სწორეთ ამიტომ გამოსცა კომისარიატმა აღნიშნული დეკრეტები, რომლითაც ის ექვსი თვით იწვევს ჯარში აღნიშნულ წლოვანების ახალგაზრდებს. სამსახურის ადგილი იქნება ეროვნული ნაწილები, ე. ი. იმსახურებენ სამაზრო და საგუბერნიო ქალაქებში.

ყველა მოქალაქე, ვინც კი მომხრეა დემოკრატიულ წყობილების, ყველა ხალხის მოყვარე ვალდებულია ხელი შეუწყოს კომისარიატის ამ ბრძნულ და რევოლიუციონურ ნაბიჯს.

არც ერთი კაცი სახლში არ უნდა დარჩეს.

რევოლიუცია და ქვეყანა განსაცდელშია.

მოვიხადოთ ჩვენი დემოკრატიული მოვალეობა!

## შთაბეჭდილებანი

(ნახული და გაგონილი).

8 იანვარს დაიწყო ჩვენი ოდისეია ე. ი. უგზო უკვლო მგზავრობა სავსე ფათერაკებით და ხიფათით.

თავიდანვე ეტყობოდა, რომ მგზავრობას ნორმალური მსვლელობა არ ექნებოდა. 8 იანვარს საღამოს უნდა გავსულიყავით თფილისის სადგურიდან, მაგრამ მხოლოდ 9-ს დილით 4 საათზე დაიძრა ჩვენი მატარებელი. ეკატერინოდარში მივემგზავრებოდით სასურსათო ყრილობაზე. პური უნდა გვეშოვნა დამშეულ მცხოვრებლებისათვის. მივეჩქარებოდით. 12 იანვარს უკვე ყრილობის პირველი დღე იყო დანიშნული, მარა ბედმა სულ სხვა გვარგუნა.

სულ რამდენიმე სადგური გავიარეთ უვნებლათ. აქსტაფაში უკვე პირველი ტყვია გავარდა და დილიდან საღამომდი ჩვენი მატარებელი ტყვიების ზუზუნის ახირებულ მუსიკას ისმენდა. მშვიდობიანი მესურსათენი უეცრად მეომრებათ ვიქეცით, სასურსათო დელეგაციის—საგანგებო ვაგონი—საომარ შტაბის სადგურათ გახდა. ჩვენი რაზმი, რომელიც „მეშოჩნიკებს" უნდა შებრძოლებოდა, კერძო მოვაჭრეთათვის წამოღებული ფქვილი ჩამოერთმია და ქალაქებისთვის მიეწოდებია—მეომართა ავანგარდათ შეიქნა—რაზმის ხელმძღვანელი უსტიევი, ენერგიული და ფხიზელი კაპიტანი—მთავარსარდლათ...

აქსტაფის ამბებმა ჩემზე მეტათ მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა. საშინელი, უაზრო, უგნური სისხლის ღვრა გაიმართა მშვიდობიან სადგურზე, ბნელმა ძალებმა

შეაქუჩეს თათრების შეუგნებელი ბრბო საინტენდანტო საწყობის დასარბევათ. ამბობენ ამის საბაბი თვით საწყობის გამგემაც მისცაო, მარა ამის შემოწმება ძნელია. მხოლოდ ფაქტია, რომ სოფლელნი მოვიდნენ ურმებით საწყობის დასაცლელათ. მათ საწყობის დაცლა კი არ ქონდათ სადავოთ, არამედ ის, თუ რომელ სოფელს უნდა წაეღო და რამდენი. მაზრის კომისარი ამას გულგრილათ უყურებდა. საწყობს წაილებენ და დამშვიდდებიანო.

მარა ცნობილია, რომ მადა ჭამაში მოდის. სადავლოთ მოსულ ბრბოსაც დავლა უნდოდა, იგი კერძო სახლებსაც არ დაერიდა. ჩემის შთაბეჭდილებით ბრბო უეჭველათ აიკლებდა აქსტაფის მცხოვრებთ და შემდეგ სადგურსაც. ეს მძარცველთა მოძრაობა არ იყო შემთხვევითი, რომელიმე ყაჩაღთა ჯგუფის ნახელმძღვანელევი. არა, იგი იყო გამოძახილი ევლახ ელისავეტპოლის და სხვა სადგურებზე მომხდარ წინანდელ ამბების. ცარცვა-რბევის ტალღა მოგორდა აქსტაფამდე, იდუმალი ხელის მეოხებით, რომელიც თათრის ბეგებს ეკუთვნის. მე მგონია, ისინი იყვენ არსებითათ ხელმძღვანელი ამ არეულობის.

მარა აქვე უნდა აღვნიშნო მეორე მხრის, ჯარისკაცების ველურობაც. არც იგინი იდგენ ადამიანური ღირსების სიმაღლეზე. აი ფაქტები: დილას დაიწყო ძარცვა. თერთმეტ საათზე ჩვენი სასურსათო რაზმი გადაეღობა დამრბევთა სურვილს და იარაღით გაფანტვა მოუნდომა მათ. ამტყდარმა სროლამ ყველა მახლობელი სოფლელები მოიზიდა და ისინი სადგურს შემოერტყენ ყოველი მხრიდან და თოფები დაუშინეს.

საღამო ხანს მოვიდა რუსის ჯარის ეშელონები. რომ ისინი არ მოგვსწრებოდენ, თათართა ბრბო გაგვსრესდა. თფილისმა, რომელსაც ცნობა მივაწოდეთ, დახმარება ვერ ამოგვიჩინა. ეშელონებმა გვიხსნეს ჩვენ, მარა სამაგიეროთ,—ცოდვა გამჟღავნებული სჯობია—ბევრი უდანაშაულო თათარი იმსხვერპლეს. ძალა და გამარჯვება ჯარის მხარეს იყო, და მან ჯავრი იყარა. დახოცეს ყველანი, ვინც ხელში მოხვდათ. დახოცეს მშვიდობიანი შავი მუშები რკინის გზის. ერთ მათგანის გამოქომაგება გავბედე, მარა მეც კინაღამ ხიშტზე ამაგეს. ვინც გამოესარჩლება ამ წუნკლებს, ხეირს არ დავაყრითო, შემობღვერით მითხრა ერთმა ფარაჯიანმა, რომლის სახე სიბნელის გამო ვერ გავარჩიე ასევე შეუვირეს ამხ. პოპოვსაც, რომელმაც კაცთმოყვარეობა გამოიჩინა და უდანაშაულო მუშებს გამოექომაგა. სალდათები ფრონტზე დგომით მოზღვავებულ ნაღველს აქ ანთხევდენ, თათრების ზურგზე. როცა სადგური გასწმინდეს ამ რიგათ, შეესიენ დაბას. ვისაც მოასწრეს, არ დაუტოვებიათ ცოცხალი. ვერც კაპ. უსტიევის მუქარამ გასჭრა. დილამდე არ შეწყვეტილა დარბევა და ძლეტა. მოქონდათ ცნობები—აქ სახლში 12 ათასი ერთათ ამოწყვიტეს, იქ 5, იქ ექვსი და სხვა, ქონება მათი დაიტაცეს. საინტენდანტო საწყობიც ჯარისკაცთა მსხვერპლი შეიქნა.

ამ ნაირათ დაედვა საფუძველი აქსტაფის განადგურებას. დილას უკვე სახლები იწოდა. სალდათები დატვირთული ბრუნდებოდენ ვაგონებში.

ჩვენი შტაბი თავ-ჩაქინდრული უცქეროდა ამ ამბავს. ჩემმა პროტესტმა გულის წყრომის გამოთქმით ვერაფერი გასჭრა. ჩვენი მოსურსათე დელეგაციის ერთი ნაწილი ისე გაიტაცა საომარ შტაბის როლმა, რომ მახლობელ სოფლელებში დამსჯელ ექსპედიციის გაგზავნას თხოულობდენ, დასარბევ სოფლების სიაც შეადგინეს. ძლივს გავაჩერეთ ეს გაბოროტებული ადამიანები. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ შორის იყვენ ისეთებიც, რომელთაც თფილისში საპატიო საზოგადო თანამდებობები უჭირავთ. მაგ. ა—ვი და მ—ვი და სხვ., რომელნიც სოციალისტის სახელს ატარებენ, არა სოციალისტებზე მე არას ვამბობ· ისინი იმ წუთში სისხლის წყურვილმა გაიტაცა. ერთი—ლ—ვი ამტკიცებდა კიდეც, პრესტიჟის აღდგენა თხოულობს, რომ ძალა ვაჩვენოთ ამ ბრბოს ჩვენი იარაღისო. ამ მოსაზრებით იგი თხოულობდა უკან თფილისში არ დავბრუნებულიყავით, რასაც ბევრი ჩვენგანი ცდილობდა, და ბაქოსკენ გაგვეწია, გზაში ყველა გაგვენადგურებია, ვინც ხელს გვახლებდა. შესაფერმა აგიტაციამ ჯარისკაცებში ისეთი გავლენა იქონია, რომ ჩემი და დ. მერხალევის სიტყვამ, რომ ჯარიც ბათომზე წასულიყო—ვერავითარი გავლენა ვერ იქონია. ჯარისკაცებს თფილისი—საშინელებათ ქონდათ წარმოდგენილი, სადაც კომისარიატი ზის და იარაღს ყრის ჯარისკაცებს. მძლავრათ ვაძლევდით ჩვენს თავს, პირობას ვდებდით, რომ ხელს არავინ ახლებდა, მარა არ დაგვიჯერეს. სალდათები, რომელნიც უეჭველათ იყვენ გამოქცეული ფრონტიდან—სახლში მეჩქარე[?]ენ. ამ გარემოებამ გადაარჩინა აქსტაფის მახლობელი სოფლები დარბევას. დამსჯელი ექსპედიცია უარყოფილ იქნა.

ჩვენთვის აშკარა იყო აქსტაფის შემდეგ ხეირი არ დაგვეყრებოდა და ძლიერ გვსურდა ჩვენი მატარებელი მაინც დავებრუნებია უკან, თფილისისკენ. მარა ეს არ მოხერხდა. არც ჩვენმა რაზმმა, არც ეშელონებმა ჩვენი გაშვება არ ინებეს. იძულებული გავხდით გავყოლოდით ბედის წერას და სალდათების სურვილს. 10 იანვარს დილით 7 ეშელონამდე მოგროვდა აქსტაფის სადგურზე, ჩაგვაყენეს შუაში და გავემგზავრეთ...

აქ ჩემს სიცოცხლეში პირველათ ვიდექით სხვადასხვა რწმენის და ტომის ხალხის საერთო საფრთხის წინაშე. თავდაცვის ინსტიქტმა გაიღვიძა ყველაში. და მე პირველათ ჩემს სიცოცხლეში ვიგრძნე, რომ მე მიყურებდენ, როგორც არა რუსს, როგორც უცხო ტომის პირს, რომელიც გაბატონებულ ერის წარმომადგენელთა თავს არ უნდა უთანასწორებდეს. სალდათები ალმაცერათ გვიყურებდენ. მარა ჩვენი ამხანაგი-დელეგატებიც ვერ ასცდენ ამ საერთო მედიდურ დ გაბატონებულ კილოს. დავრწმუნდი, რომ ჩვენ დემოკრატებს, საკმარისია გადაფხიკო იდეოლოგიური ზედაპირი და შიგ ზოოლოგიურ ნაციონალისტს აღმოაჩენ. ჯერ კიდევ არ გაგვჯდომია ძვალ-რბილში დემოკრატიზმის პრინციპები, ჯერ კიდევ ვერ შეგვისხლხორცებია ის დიადი აზრები, რომელთაც ვეტრფით. ფსიხიკა, სულის სიღრმეში ჩამარხული ძველი გრძნობები ხშირათ იჩენენ თავს და გაჭირვების ხანაში მოტივტივებენ ზევით. მეგობარი გაჭირვებაში იცნობაო,—ამბობს ანდაზა—და უნდა გამოტეხილი ვსთქვა—ბევრ იდეურ ამხანაგზე ამიცრუვდა ამ ტყვიების ზუზუნის დროს გული. ბევრი მათგანი ჩვენ თითქოს დამნაშავეთ გვთლიდა. მუქარის კილოც კი ისმოდა ზოგიერთის სიტყვებში.

არ ვიცი, ჯერაც ვერ ამიხსნია სავსებით ის საიდუმლო ძაფები, რომლითაც შეგვაერთა ამ დღეების მწარე ამბებმა დელეგაციაში მყოფი ყველა თათრები, სომხები და ქართველები... ერთხანს ჩვენ თითქოს გვერიდებოდენ კიდეც დანარჩენნი. ჩვენც ერთ კუპეში ვიყავით ცალკე თითქმის ყოველთვის. უხილავათ გაგვაერთიანა რაღაცა ძალამ და ეს „მეგობრობა“ მთელ ამ თვის განმავლობაში შეგვრჩა. ბევრი საყურადღებო თვისებები გამოაჩინა ამ დღეებმა, რომელიც მდიდარ მასალას შეადგენს ხელოვანისთვის. მე კი მათ ვგრძნობ, მარა შესაფერი ენა ვერ გამომიძებნია, რომ გადმოგცეთ. პირველათ ვიგრძენი, რომ სოციალდემოკრატს აღარ მიყურებენ, როგორც სოციალდემოკრატს, არამედ მხოლოდ როგორც ქართველს, ადგილობრივ მცხოვრებს, რუსების. მეტათ მძიმე იყო ეს წუთები... ჩემში თითქო იმსხვრევოდა ჩვეული წარმოდგენა ცხოვრებაზე, ადამიანებზე, პარტიულ ხალხზე, სოციალისტებზე. მარა თანდათანმა დაკვირვებამ გამოაჩინა, რომ რწმენა აქ არაფერ შუაშია, რომ ბევრს რწმენა მხოლოდ შირმათ აქვს, საგარეოთ, შიგნი კი იგი არ შეუშვია, რწმენა ბევრში სტუმარია და არა მასპინძელი.

იდეური დემოკრატები მისაყვედურებდენ თათრის ბრბოს დაცვას, დამსჯელ ექსპედიციის უარყოფას, საშინელი სიტყვებით იხსენიებდენ ჩვენ იდეურ ხელმძღვანელთ. ღვარძლი და შური გამოსჭვიოდა მათდამი მათ სიტყვებში. აქა-იქ იბადებოდა აზრი, ამათ პური არ უნდა გამოვუგზავნოთ ჩრდილო კავკასიიდან, დაე დაიმშინო... ასეთ სიველურემდეც კი დაქვეითდა ზოგიერთი ვითომდა დემოკრატი...

ამან დაბადა ფარული, მარა მწვავე ურთიერთობა დელეგაციის წევრთა შორის. ისეთი ატმოსფერა შეიქნა, რომელშიაც ამიერ კავკასიისა და კომისარიატისადმი მტრული განწყობილება იყო ტონის მიმცემი დელეგაციის უმრავლესობისათვის... და ეს ტონი დელეგატებს ეკატერინოდარამდე გაჰყვა...

ასე იყო თუ ისე გავშორდით აქსტაფას და გავეშურეთ წეროებივით დამწკრივებული განჯისკენ. რ. ა.

(შემდეგი იქნება)

## დეკრეტი

### 1899 წელს დაბადებულთა ჯარში გაწვევის შესახებ.

უკვე გამოიცა დეკრეტი ამიერ-კავკასიის კომისარიატისა იმ ახალგაზდების ჯარში გაწვევის შესახებ, რომელნიც 1899 წელს არიან დაბადებული:

I. უნდა გაწვეულ იქნენ ჯარში თანახმად მე-12 და მე-16 სტ. და სამხედრო ბეგრის შესახებ გამოცემულ 1915 წელს მე-93 წიგნისა, ახალგაზდები, რომელნიც 1899 წელს არიან დაბადებული, გარდა იმ ახალგაზდებისა, რომელნიც 1 ხარისხის შეღავათით სარგებლობენ ოჯახური მდგომარეობის გ.მო (სტ. მე-53, მუხლი ა—ე).

**შენიშვნა:** ა) ჯარში გაწვევა ეხება უმაღლეს, საშუალო და სხვა სასწავლებელთა მასწავლებელთ და მოსწავლეებს და აგრეთვე ყველა მთავრობის და საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურეებს.

ბ) გაუქმებულია ყოველგვარი შეღავათი, რომლითაც არსებული კანონების ძალით თავისუფალი იყვენ სამხედრო სამსახურისაგან; გარდა იმ შეღავათისა, რომელიც ეძლევა ავადმყოფებს თანახმათ იმ ნუსხისა, რომელიც 1917 წლის 5 მაისს გამოიცა.

გ) ჯარში არ იქნებიან გაწვეული მტრის მიერ დაპყრობილ ადგილებიდან ლტოლვილები.

II. ჯარში გაწვევის პირველ დღეთ დანიშნულია 1918 წლის 15 თებერვალი. ამ რიცხვიდან ყველა გაწვეული ვალდებულია გამოცხადდეს პუნქტში, რომელსაც საგუბერნიო და სამაზრო კომისარები დანიშნავენ.

III. პუნქტებში ჯარისკაცების შემოწმება ხდება სამხედრო სამაზრო გამგეობაში, რომელიც დროებით მთავრობის მიერ არის შეცვლილი და შედგენილი 1917 წლის 5 მაისის განკარგულებით, და აგრეთვე იმ დამატებებით, რომელიც ეროვნული ნაწილების წარმომადგენლებმა შეიტანეს.

IV. ჯარში მიღებულები განაწილებული იქნებიან სამხედრო ნაწილებში თანახმათ იმ გეგმისა, რომელსაც ეროვნული კორპუსების და დივიზიის შტაბები შეიმუშავებენ.

V. ჯარში გაწვეულებს თან უნდა ჰქონდეთ 3 დღის საყოფი სურსათი, როდესაც ისინი აღნიშნულ პუნქტში გამოცხადდებიან.

VI ყველა ის, ვინც განზრახ მოისურვებს თავიდან მოიშოროს სამხედრო მოვალეობა სამშობლოს წინაშე, იძულებით იქნება ჩარიცხული სამხედრო ნაწილში და სამხედრო სამსახურის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ დაპატიმრებული იქნება ვადით, არა უმეტეს ერთი წლისა.

VII. თანამდებობის პირნი, რომელნიც განზრახ შეუწყობენ ხელს სამხედრო ბეგრის თავიდან აცილებას, გადაყენებული იქნებიან სამსახურიდან და დატუსაღებული ვადით 3 თვიდან 1 წლამდე.

VIII. დოკუმენტების შემოწმება და ცნობების მიწოდება განზრახ დამალულ ჯარისკაცების შესახებ ევალება: სამსახურში მყოფთ ან სამსახურში ახლად შესულთა შესახებ ამ დაწესებულებათა ადმინისტრაციას; ბინაზე მცხოვრებთა შესახებ ამ გვარი შემოწმება ხდება სახლის წიგნების მიხედვით და ევალებათ სახლის და ბინის პატრონებს. დამნაშავენი დაისჯებიან დატუსაღებით ვადით, არა უმეტეს 3 თვისა.

**ჯარისკაცების დაბრუნების შესახებ**

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა შემდეგი დეკრეტი გამოსცა ეროვნულ ნაწილებში დაბრუნების შესახებ ამიერ-კავკასიის იმ მცხოვრებთა, რომელნიც ვალდებული არიან სამხედრო სამსახურის გაწვევისა:

1) ყველა ის, ვინც ვალდებულია ჯარში სამსახურის, ვისაც 1918 წლის 1 იანვრისთვის შეუსრულდა 25 წელი (და აგრეთვე ის, ვინც 25 წელზე უმცროსია), რომელიც მოკლე ვადით იყო განთავისუფლებული მშობლებისა და ნათესავების სანახავად, ვალდებულია გამოცხადდეს უახლოეს პუნქტში, რომელიც დანიშნული იქნება საგუბერნიო და სამაზრო კომისიების მიერ ჯარის შესაკრებად, რათა აქედან განსაზღვრულ სამხედრო ნაწილებში წავიდნენ სამსახურის გასაწევად 6 თვის განმავლობაში.

**შენიშვნა.** ა) აღნიშნულ ჰასაკის ყველა პირი, ვისაც აქამდე ჯარში არ უმსახურია, ისინიც, ვინც თავდამცველად აღიარებულ დაწესებულებაში მსახურებდა, რომელსაც შემოწმებული არ იყვნენ და ავადმყოფობის გამო ხანგრძლივი თავისუფლებით სარგებლობდენ, ვალდებული არიან გამოცხადდენ, აღნიშნულ პუნქტებში, რათა ისინი შეამოწმონ სამაზრო სამხედრო საკრებულოებში.

ბ) ეს განკარგულება ვრცელდება იმ პირებზე, რომელნიც სარგებლობდნენ პირველი ხარისხის შეღავათით ოჯახური მდგომარეობის გამო; ვრცელდება აგრეთვე რკ. გზის, ფოსტა-ტელეგრაფის, ტრამვაის, წყალსადენის, ელექტრონის სადგურების, ნავთის სამრეწველო დაწესებულებათა, მადნების, სტამბების და სხვ. მოსამსახურეებზე.

გ) ეს დეკრეტი ვრცელდება ამიერ-კავკასიის მკვიდრ მცხოვრებლებზე და იმათზე, ვინც მოწერილია ადგილობრივ სამხედრო უბანში.

2. გუბერნიის, მაზრის და სოფლის კომიტეტი ვალდებულია ყოველივე ზომა მიიღოს, რომ დაბრუნებულ იქმნან ყველა სამხედრო ბეგრის ვალდებულები სათანადო ნაწილებში.

3. ყველა ის, ვინც თავიდან განზრახ აიცილებს სამხედრო ბეგარას, იძულებით იქნება ჩარიცხული სამხედრო ნაწილში, და სამხედრო ბეგრის მოხდის შემდეგ დატუსაღებული ვადით, არა უმეტეს 1 წლისა.

4. ადგილობრივი მთავრობების წარწარმომადგენლები, რომელნიც განზრახ ხელს შეუწყობენ ჯარისკაცების დამალვას, გადაყენებული იქნება სამსახურისაგან და დატუსაღებული ვადით, 3 თვიდან 1 წლამდე.

5. დოკუმენტების შემოწმება და დამალულ ჯარისკაცების შესახებ ცნობების მიწოდება ევალება: დაწესებულებებში მოსამსახურეთა შესახებ ამ დაწესებულებებში ადმინისტრაციას, ხოლო ბინაზე მცხოვრებთა შესახებ სახლის პატრონებს. დამნაშავენი ამ დადგენილების დარღვევაში დატუსაღებული იქნებიან ვადით არა უმეტეს 3 თვის.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი.
სამხედრო და საზღვაო კომისარი ვლ. გოგეჩია.

## პეტროგრადის ამბები

ადგილობრივი ესერების „ზნ. ტრ.“ სწერია: 1 თებერვალს დილით პეტროგრადიდან ჩამოსულმა პარტიულმა ამხანაგმა შემდეგი გვიამბო: პეტროგრადიდან გამოვედი 16 იანვარს. დამფუძნებელი კრების მოწვევის იმედი არ ჩამკვდარა. ამ ჟამად მოქმედობს დამფუძნებელი კრების მომწვევი ბიურო. ნევის რაიონის მუშების სულიერი განწყობილება ბალშევიკების საწინააღმდეგოა. მოითხოვენ დამფუძნებელი კრების გახსნას ერთ-ერთ ქარხანაში. ჩვენ თითონ დავიცავთო,—ამბობენ მუშები. შესაძლებელია ეს იდეა განხორციელებულ იქნას.

დამფუძნებელი კრების გახსნის მეორე დღეს ყველა ფაბრიკა-ქარხნებში მოხდა მიტინგები, სადაც პროტესტი გამოიტანეს მუშებმა მანიფესტანტების დახვრეტის შესახებ. დიდი მიტინგი გაიმართა სიმენს და გალსკეს ქარხანაში, სადაც გუკიცხვა გამოუცხადეს სმოლნი ინსტიტუტს და მოითხოვეს მუშათა დეპუტატების საბჭოდან წარმომადგენლების გაწვევა. მეორე დღეს დანიშნეს ახალი არჩევნები, მაგრამ ღამით სმოლნიდან მოსული ბრძანების თანახმათ დააპატიმრეს საქარხნო კომიტეტი და მეორე დღისთვის მოწვეული მუშათა მიტინგი წითელმა გვარდიელებმა გარეკეს.

მუშებს აშკარათ ემჩნევა მენშევიკებისკენ გადახრა.

საერთო აზრია, რომ ბალშევიზმს ადრე მოეღება ბოლო. ჯერ ჯერობით ბალშევიკებს კიდევ ასულდგმულებს ის გარემოება, რომ ისინი უსისიანებენ მუშებს და ჯარისკაცებს სამხრეთისკენ, კალედინისაკენ. ეს გვაგონებს თვითმპყრობელობის მიერ ხალხის წასისიანებას ებრაელებზე.

პეტროგრადი გასაჭირშია. ერთ მერვედ გირვანქა პურს იძლევიან სულზე ორ დღეში. სურსათი ცოტა შეაქვთ. ხდება კერძო ბინების რეკვიზიცია.

ომის და ზავის საკითხი გაირჩა მემარცხენე ესერების ცენტრალური კომიტეტის კრებაზე, ვინაიდან შეუძლებელი გახდა საზავო მოლაპარაკების წარმოება. ორი წინადადება იყო წამოყენებული: გამოეცხადებიათ გერმანიისთვის სამღვთო ომი, მეორე წინადადებით—„ომი არ ეწარმოებიათ, არც ზავზე მოეწერათ ხელი„. უკანასკნელი წინადადება დიდი ხმის უმეტესობით გავიდა.

ეკატერინოდარის ახლოს ბალშევიკები დამარცხდენ. სად. კავკასკაიაზე სამი ეშელონი დაამარცხეს.

ნოვოროსიისკის მიმართულებით ტყვეთ წაიყვანეს 500 კაცი, მოკლულია 600 კაცი.

კავკაზში სიწყნარეა.

---

**ნიკოლაევის რკინის გზის** სახელოსნოს მუშებმა 5 იანვრამდის პეტროგრადის ქუჩებზე ხალხის გაჟლეტის გამო შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანეს:

„ჩვენ, ნიკოლაევის რკინის გზის სახელოსნოს მუშებმა რიცხვით 4000 კაცმა მოვახდინეთ კრება და განვიხილეთ რა საბჭოს მთავრობის მიერ დამფუძნებელ კრების დასაცავათ პეტროგრადის ქუჩებზე გამოსულ დემონსტრანტების გაჟლეტის ამბავი, დავადგინეთ შემდეგი:

1. სასტიკი პროტესტი გამოუცხადოთ საბჭოს მთავრობის მოქმედებას და პოლიტიკას. იმ პოლიტიკას, რომელიც გვაგონებს 1905 წლის 9 იანვრის ტრეპოვის მთავრობის მიერ ხალხის ჟლეტას ძმის პოლიტიკას „პატრონები არ დაზოგოთ“.

2. უკან გავიწვიოთ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ჩვენი წარმომადგენელნი, რომელთაც 3 იანვარს საბჭოს კრებაზე ხმა მისცეს ხალხის გაჟლეტის შესახებ დადგენილებას და მათ მაგიერ ავირჩიოთ სხვები.

3. მედგრათ დავუჭიროთ მხარი დამფუძნებელ კრებას და მთელი ძალ-ღონით დავიცვათ ის.

4. 1918 წლის ხუთი იანვარი სამგლოვიარო დღეთ აღვნიშნოთ, როგორც 1905 წლის 9 იანვარი.

5. ახლად არჩეულმა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ჩვენს დელეგატებს, ეს რეზოლიუცია საბჭოს პირველ კრებაზედვე გამოაქვეყნონ და კომისარების მეფურ პოლიტიკის წინაღმდეგ პროტესტი განაცხადონ.

6. როგორც კი შესდგება დამფუძნებელი კრება მთელი პოლიტიკური ძალაუფლება, კანონების გამოცემა და დამტკიცება მხოლოდ მას ეკუთვნის და არა იმ მთავრობას, რომელმაც 5 იანვარს სისხლით მორწყო პეტროგრადის ქუჩები.

7. სასტიკათ ვკიცხავთ წითელ გვარდიელ მეზღვაურებს და ჯარისკაცებს, რომლებმაც სხვადასხვა დაპირებებით თვალახვეულებმა ადამიანური გრძნობა დაჰკარგეს და 5 იანვარს ხალხის სისხლი დაღვარეს...

8. წითელ გვარდიელებს ვაფრთხილებთ, რომ არ შეასრულონ ვისიმე ბრძანება მუშების და მშვიდობიან ხალხის გაჟლეტის შესახებ, რადგან ეს არ შეშვენის სოციალისტურ ჯარს. ასეთ მოქმედებით ის იმავ ჟანდარმერიის როლს ასრულებს, რომელიც ცდილობდა ხალხის სისხლით განემტკიცებია ჯალათების ბატონობა.

გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას! გაუმარჯოს ხალხის ნებას! გაუმარჯოს ხალხის ერთგულ და მისთვის თავდადებულ წითელ გვარდიას! ძირს სამოქალაქო ომი! ძირს თვითმპყრობელი ტირანები!

რეზოლიუცია 4,000 ხმით მიღებულ იქნა.

**ობუხოვის ქარხანაში** 7 იანვარს შეიკრიბენ მუშები რიცხვით 8 ათას კაცზე მეტი და მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ რევოლიუციონურ ობუხოვის ქარხნის მუშები ზიზღს და პროტესტს უცხადებთ სახალხო კომისარების საბჭოს ხუთ იანვარს პეტროგრადის ქუჩებზე ხალხის გაჟლეტის გამო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვითმპყრობელ კომისარების ეს პოლიტიკა არაფრით არ განსხვავდება სატრაპ ტრეპოვის და პროტოპოპოვის პოლიტიკისაგან. მათ, რომლებიც თავის თავს სახალხო კომისარებს ეძახიან, სახლის სახურავებზე ტყვიისმფრქვეველები დასდგეს და ქუჩაში მუშათა მშვიდობიან მანიფესტაციას ტყვიები დააყარეს, ჟლეტა დაუწყეს.

და როგორც ოდესღაც რევოლიუციონურმა ობუხოვის ქარხანამ აჯანყების დროშა აღმართა ნიკოლოზ მეორეს წინააღმდეგ, ეხლაც ისე აღვმართავთ დროშას ხალხის ძალა უფლების ძალით ხელში ჩამგდებლების წინააღმდეგ, და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ დამფუძნებელ კრების დასაცავათ.

ამასთან ერთათ ჩვენ ვატყობინებთ საერთაშორისო პროლეტარიატს, თუ რა საზიზღარი ბოროტება ჩაიდინეს მათ, რომელნიც ბედვენ თავის თავს სოციალისტები უწოდენ და მოვითხოვთ გამორიცხულ იქნან იგინი ინტერნაციონალიდან.

წყევა კრულვას და ზიზღს ვუცხადებთ ჯალეთებს და ვადგენთ ქარხნის ყველა ორგანოებში მოვახდინოთ ხელ ახალი არჩევნები და ჩვენი მუშები წითელ გვარდიიდან გავიწვიოთ“.

ასეთივე მკაცრი რეზოლიუციები გამოიტანეს ნევის, რეჩკინის, ლესნერის და ერიქსონის ქარხნებმა და სხვა.

## სამოქალაქო ომი

19 იანვარს ნოვოროსიაში კავკასიის ფრონტიდან მოვიდა ბალშევიკების ჯარების 2 დივიზია. სულ ახალ ახალი შეიარაღებული ჯარები მოდიან. გუშინ მოვიდა ერთი ტრანსპორტი არტილერიით.

ბალშევიკების შტაბს გადაწყვეტილი აქვს დონზე სად. კრიმსკიდან გაილაშქრონ.

ნოვოროსიაში დაიჭირეს ორი აფიცერი, ერთი მათგანი პრაპორშჩიკი რუდენკო, რომელიც გაგზავნილი იყო მოხალისეთა შესაკრებათ.

სად. ლაბინსკაზე რუდენკოს გარს შემოერტყა ბრბო და უნდოდათ ეცემათ. ორი ტყვიით ის კისერში დასჭრეს.

როგორც მათ სთქვეს, წითელ რაზმელებს დატუსაღებული ჰყავთ 45 კაცი. სამხედრო რევოლიუციონურმა კომიტეტმა გადასწყვიტა თვით გაასამართლოს იგინი. დაჭერილები ჯერ სატუსაღოში სხედან.

სად. ნოვოროსსიკი წითელ გვარდიელების ხელშია.

ბალშევიკები ყოველდღე სად. კრიმსკოდან ნოვოროსსიამდე მატარებლებს კანტროლს უკეთებენ.

ყუბანისკენ და დონისკენ გაგზავნილი ჯარისკაცები უარს ამბობენ ბრძოლაზე. ბევრი მათგანი აცხადებენ, რომ ეკატერინოდარში მიდიან იმიტომ, რომ ჩააბარონ იქ იარაღი და სახლში წავიდენ.

ამ დღეებში ჯარისკაცებს უნდოდათ ეკატერინოდარში წასვლა 28 ზარბაზნით, რომ იქ ჩაებარებიათ.

ყუბანის მთავრობამ აუკრძალა საშვალო ხკოლათა შეგირდებს მოხალისეთა რაზმში შესვლა. ვინც დღემდე იყო ჩაწერილი, წინადადება მიეცა დასტოვონ რაზმები.

**კავკავიდან** 1 თებერვალს პირდაპირი მავთულით შემდეგი ცნობები მოვიდა: 29 იანვრის კრებაზე ყაზახთა შეერთებულმა მთავრობამ გადასწყვიტა გააუქმოს თავისი არსებობა და გადასცეს მმართველობა—ქალაქებში ქალაქთა თვითმართველობებს და ოკრუგებში—ოკრუგებისას. ასეთი ნაბიჯის მიზეზი იმ უნდობლობაში მარხია, რომელსაც ხსენებულ მთავრობას მცხოვრებლები და ჯარი უცხადებდა. თვითმართველობებს მმართველობა გადაეცემა 4 თებერვლამდის, როდესაც მოწვეული იქნება არა ყაზახთა ყრილობა და დიდი ყაზახთა წრე. ამ გადაწყვეტილების შემდეგ ატამანმა კალედინმა თავი მოიკლა. ამის შემდეგ ნოვოჩერკასკის სტანიცის და გრუშევის სტანიციების და სოფლების წარმომადგენელთა კრებამ, ერთხმათ აირჩია ჯარის ატამანათ გენერალი ნაზაროვი. ნაზაროვმა გასცა ბრძანება, რომლის თანახმათაც ცხადდება საყოველთაო მობილიზაცია, ყველას, ვისაც კი შეუძლია იარაღის ტარება, უნდა აღსდგეს და დაიცვას დონი. გრუშევსკის, აქსაის და გნილოვის სტანციებმა გადასწყვიტეს არ შესწყვიტონ ბალშევიკებთან ბრძოლა. კავკავს უკვე ორი დღეა, რაც დამოკიდებულება არა აქვს დონთან და ყუბანთან.

## ახალი ამბები

**მოწოდება მოქალაქეთა და ჯარისკაცებისადმი.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა გამოუშვა განსაკუთრებული მოწოდება ამიერ-კავკასიის მცხოვრებთადმი. კომისარიატი აფრთხილებს ამიერ-კავკასიის დემოკრატიას, არ გაჰყვეს იგი ბალშევიკების ავანტიურას, რომლებმაც გამოააშკარავეს თავიანთი სრული პოლიტიკური სიკოტრე საზავო მოლაპარაკებაში, რაც ბალშევიკების ახალ დეკრეტიდან სჩანს და მოუწოდებს მათ დარჩენ თავიანთ პოსტზე. მოწოდებას ხვალ დავბეჭდავთ.

**ბონები.** უკვე საბოლოოთ გამოირკვა, რომ 5 თებერვალს გამოვა 100 მ. ღირებულების ბონები.

**დარიალის ხეობაში.** დარიალის ხეობიდან ქართულ ნაციონალურ საბჭომ შემდეგი ცნობა მიიღო: ადგილობრივ ინგუშებთან განწყობილება მოწესრიგებულია. თავისუფლათ მოეწყო კავკავთან დამოკიდებულება. საშიშროება არ არის.

**მიტინგი სადგურ თფილისის დეპოში.** 29 იანვარს მუშათა საერთო კრებაზე, რომელსაც 500-მდე მუშა დაესწრო, გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც კრება პროტესტს აცხადებს ბალშევიკების მიერ დამფუძნებელ კრების გარეკის გამო და რუსეთის რევოლიუციის ხსნის ერთად-ერთ გზათ სთვლის სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევას. კრება მხარს უჭერს კავკასიის დემოკრატიის გადაწყვეტილებას ამიერ კავკასიის სეიმის მოწვევის შესახებ

**მომრიგებელი მოსამართლენი ბინების საკითხის შესახებ.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაადგინა მისცეს ქალაქის საბჭოს უფლება, ეხლავე მოახდინოს არჩევნები ორი მომრიგებელი მოსამართლისა, რომლებსაც დაევალება ბინების შესახებ ყველა სადაო საკითხების გარჩევა თფილისში. მომრიგებელი მოსამართლენი არჩეულ იქნებიან დღეს თფილისში არსებულ საუბნო მომრიგებელ მოსამართლეთა საერთო რიცხვიდან. ამის გამო თფილისის ორ ნაწილათ დაყოფა და გაზეთ „კავკაზ“-ში დროს გამოცხადება, როდესაც აღნიშნული მოსამართლენი მუშაობას დაიწყებენ, ევალება თფ. ქალაქის გამგეობას. ოფიციალურ გაზეთში გამოცხადების შემდეგ ყველა ახლათ აღძრულ სადაო კითხვები ბინების შესახებ (უთანხმოებები ბინის პატრონთა და ბინების დამქირავებელთა შორის) უნდა გაუგზავნოს დასახელებულ მომრიგებელ მოსამართლეებს.

**ნდობის გამოცხადება.** 1 თებერვალს სასახლესთან მივიდა სომხურ ნაციონალურ პოლკის ცხენოსანთა რაზმი, რომელმაც ნდობა გამოუცხადა ამ.-კავკ. კომისარიატს და აღუთქვა მას ყოველგვარი დახმარება. კომისარიატის თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი მიესალმა რაზმს მგრძნობიარე სიტყვით, რომელშიაც მოუწოდა მას არ უღალატოს თავის მოწოდებას და ერთგულათ დაიცვას რევოლიუციით მოპოებული თავისუფლებები.

**ბოროტმოქმედთა გასამართლება.** ტაშ[?]ხიდან იტყობინებიან, რომ იქ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმათ, დაუხვრეტიათ ბოროტმოქმედნი, რომლებმაც გაძარცვეს ცხენებით დატვირთული მატარებელი № 91. სიკვდილით დაუსჯიათ აგრეთვე ის პირიც, რომელმაც ბოროტმოქმედებს მფარველობა გაუწია. უკანასკნელის სახლიც გადასწვეს.

**წარმოდგენა.** დღეს ივჭალის აუდიტორიაში იხსნება სეზონი. ახლათ დაარსებულ სცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ყაზბეგის დრამა „არსენა“.

**პროვოკაციული მუშაობა.** თავრიზიდან მუსულმანთა დემოკრატიულ ორგანიზაციის თავმჯდომარე მელიქასლანოვი შემდეგს ატყობინებს ყველა რაიონულ სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციებს და ამიერ-კავკასიის კომისარიატს: ფრონტიდან მიმავალ გარნიზონებში ბნელი ელემენტები ერთგულათ ეწევიან თავიანთ პროვოკაციულ მუშაობას, რაც ეროვნებათა ერთი მეორეზე წასისიანებაში გამოიხატება. ასეთ ბნელ მუშაობას შეიძლება ნაყოფათ მოყვეს ისეთივე მაგალითი, რომელსაც ალაგი ჰქონდა 1905 წელში. ხსენებული დემო-

კრატიული ორგანიზაცია მოუწოდებს ყველას, ეროვნებათა და სარწმუნოების განურჩევლათ, ნუ წამოეგებიან ბნელ ელემენტების ანკესზე; თავის მხრივ ორგანიზაცია იღებს ყოველგვარ ზომებს თავ-აშვებულთა ასალაგმავათ.

— **შრომის ბირჟა.** ქალაქის ბირჟის მუშაობა 15—20 იანვრის განმავლობაში შემდეგში გამოიხატებოდა: ბირჟაში შემოვიდა—1,364 უმუშევარი, ამათში იყო—615 მამაკაცი და 749 დედაკაცი. ბირჟაში ჩაეწერა—441 უმუშევარი; მათგან 261 მამა-კაცია და 180 დედაკაცი. აღნიშნულ დროს განმავლობაში თფილისში მიიღო სამუშაო 158 უმუშევარმა, თფილისს გარეთ—5. ამათში ვერ იშოვა თავის პროფესიის შესაფერი ადგი 65-მა. სამუშაო ხელზე მოთხოვნა აღნიშნულ დროში თფილისში იყო—169, თფილისს გარეთ—5.

— **რკინის გზაზე.** გზათა კომისარი ატყობინებს სომეხთა და მუსულმანთა ნაციონალურ კომიტეტებს, რომ თფილისში შემდგარა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამონახოს ზომები ერევნის რაიონის რკინის გზათა დასაცავათ. კომისიაში შედიან: ამიერ კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა ცენტრ. კომიტეტის წარმომადგენელი, ერევნის გუბერნიის სომეხ და მუსულმ. ნაც. კომიტეტების წარმომადგენლები და თვით კომისარის რწმუნებული. კომისარი სთხოვს ზემო დასახელებულ კომიტეტებს გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი.

— **სურსათი.** 1 თებერვალს თფ. სასურსათო კომიტეტმა მიიღო: 1 ვაგონი ქართოფილი, 1 ვაგ. ლობიო, 2 ვაგ. ქერი, 5 ვაგ. ხორბალი და 1 ვაგ. ფქვილი.

— **ალექსანდრეპოლიდან** იტყობინებიან, რადგანაც სურსათი არ მოიპოვება სამხედრო ნაწილები სარაყამიშისაკენ მიდიან. თუ სურსათის მხრივ ნაწილები არ იქნენ დაკმაყოფილებულნი, მოსალოდნელია ექსცესები. საჭიროა 5 ვაგონი ფქვილით.

### კრებები და მიტინგები.

კვირას, 4 თებერვალს, დღის 12 ს. დანიშნულია საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა. განსახილველი საგნები: 1) მოხსენება თფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მდგომარეობის შესახებ; 2) სექციების წარმომადგენლების შესახებ; 3) საზოგადო მხრუნველობის სექციის დაარსება; 4) 500.000 მ. სესხის აღება; 5) მიმდინარე საკითხები.

— 4 თებერვალს, დილის 10 ს., თეატრ „მულენ-ელექტრიკის“ შენობაში დანიშნულია ელექტრონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგი: 1) მუშადა საბჭოს დეპუტატების არჩევნები; 2) წესდება; 3) გამგეობის მოხსენება; 4) ახალი ტარიფი; 5) მიმდინარე საქმეები.

— ხვალ, დილის 12 საათზე თფილისის უმაღლეს კურსების შენობაში (გოლოვინის პრ. № 10) შესდგება სომეხ სტუდენტთა, ვაჟების და ქალების საერთო კრება.

## პროვინციის ქრონიკა

**ახალ-სენაკი.** 26 იანვარს ქ. ახალ სენაკში შესდგა სასწრაფო თათბირი იმის შესახებ მოეხდინათ სიმინდის რეკვიზიცია თუ არა. თათბირს დაესწრო ახალსენაკის და ზუგდიდის სასურ. კომიტეტების წევრები და საგუბ. სასურსათო კომ. და დამშეულ მაზრების წარმომადგენლები. თათბირმა დაადგინა სიმინდს აუცილებლათ რეკვიზიცია უყონ.

— სენაკის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი ატყობინებს ქუთაისის გუბ. აღმასრულებელ კომიტეტს, რომ თანახმათ საოლქო ცენტრის განკარგულებისა ჩვენი ინიციატივით უნდა შესდგეს რაზმი და გაემგზავროს ტრაპეზონში ჯარის მიერ დატოვებულ ქონების ჩამოსატანათ.

## მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატ. მე-3 ყრილობა

ამ ყრილობას, რომელიც პეტროგრადში იყო მოწვეული ბალშევიკებმა კონვენტი უწოდეს. ლენინის შემდეგ ერთ ერთ სხდომაზე, რომლის ანგარიში შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა ილაპარაკა ამხ. მარტოვმა, რომელმაც თავის სიტყვაში შედარება გაატარა კომუნასა და საბჭოს მთავრობის შორის. მარტოვმა სთქვა: დიდი განსხვავებაა კომუნის მოქმედებასა და საბჭოს მთავრობის მოღვაწეობის შორის.

მხოლოდ კომუნის დასაწყისში და მისი აღსასრულის დროს ჰქონდა ექსცესებს ადგილი. მთელი 70 დღე, რომელიც კომუნამ იარსება არ ქონია ადგილი მცხოვრებთა სამოქალაქო უფლების და თავისუფლების დარღვევას. 1871 წლის კომუნამ და რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა აშკარად დაამტკიცეს, რომ ტერორის მეთოდი საჭირო არ არის იმ მთავრობისათვის, რომელიც ემყარება უმრავლესობის ნებასურვილზე. უმრავლესობა არ საჭიროებს ტერორს, ვინაიდან მას შეუძლია იმოქმედოს დემოკრატიული თავისუფლების ძალით.

შეხო რა დამფუძნებელი კრების გარეკას, მარტოვმა აღნიშნა, რომ დამფუძნებელი კრება, რომელმაც თავი მოუყარა თავის უმრავლესობაში სოციალისტებს წარმოადგენდა ერთა სარკეს, მაგრამ მას არ შეეძლო ეარსება ერთი დღეც, ვინაიდან დაინახეს რა კომისარებმა, რომ მათ ფეხ-ქვეშ ნიადაგი ეცლებოდათ, დაამსხვრიეს ეს სარკე. დამფუძნებელმა კრებამ თავისი ხმა მისცა ზავს, ხალხისთვის მიწის გადაცემას, მაგრამ მას ხმა არ მიუცია დაუყონებლივ სოციალიზმის დამყარებისათვის. ბალშევიკების მთავრობა გაჯავრდა და გარეკა ის. პარიზის კომუნარებმაც კი, მიუხედავათ იმისა, რომ საფრანგეთს ასი წლით ჰქონდა ნაგემები თავისუფლება, ვერ გაბედეს გადაედგათ ნაბიჯი დაუყოვნებლივ სოციალიზმის განსახორციელებლათ. ამის შემდეგ მარტოვი ამბობს, რომ სახალხო კომისართა საბჭოს ეშინია თავისუფალი სიტყვის. როდის აქეთაა, რომ „რუსკოე სლოვოს“ ყოფილ ასოთ-ამწყობთ და ეხლა სახელმწიფოებრივ დემოკრატიას გაფიცვის უფლება არა აქვთ? მარტოვი პროტესტს აცხადებს ესერების ცენტრალურ კომიტეტში ჩხრეკის წინააღმდეგ და იმის წინააღმდეგ, რომ ათეული წლების განმავლობაში თავისუფლებისათვის ციხე-ციმბირში ნამყოფი ხალხი პეტრე-პავლეს ციხეში არიან დამწყვდეულნი. ეს სისტემა არ შეიძლება კიდევ გაგრძელდეს. სახალხო კომისართა საბჭომ უნდა შესცვალოს ძირიანათ თავისი პოლიტიკა. მარტოვის სიტყვას ტაშის ცემით შეხვდა ოპოზიცია. ყრილობის უმრავლესობამ ის დუმილით მოისმინა.

მეორე ინტერნაციონალისტმა ავილოვმა აღნიშნა, რომ ლენინის მოხსენებას არ ჰქონია საქმიანი მოხსენების ხასიათი, რომელიც უნდა გაეკეთებია სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, არამედ—ეს იყო სამიტინგო სიტყვა. დასასრულ ავილოვი აღნიშნავს, რომ სულიერი განწყობილება მუშებში იცვლება და ეხლა ისინი აღარ უჭერენ მხარს იმ ლოზუნგს, რომელიც მოითხოვს—„მთელი ძალა-უფლება საბჭოებსო“. ავილოვს სურს გამოაქვეყნოს იმ ქარხნების სია, რომელთაც წარმომადგენლები გაიწვიეს საბჭოებიდან, მაგრამ თავმჯდომარე მოაგონებს მას, რომ ლაპარაკის დრო გათავდა. ადგილებიდან სთხოვენ მას გამოაქვეყნოს სია. მან მოასწრო მხოლოდ რამდენიმე ქარხნის გამოქვეყნება. ამ დროს ბალშევიკებმა ასტეხეს ხმაურობა და არ მისცეს საშუალება სრულიად წაეკითხა მას სია.

ზინოვიევის სიტყვას ბალშევიკები აღფრთოვანებით შეხვდენ. ზინოვიევმა პასუხი გასცა ოპოზიციის ორატორებს. მას მოჰყავს მარქსის აზრი, რომ კომუნარებმა მიუტევებელი შეცდომა ჩაიდინეს, როცა იერიშით არ აიღეს ვერსალი. ვერსალს ზინოვიევი ადარებს ნოვოჩერკასკს. ორმოცდა ექვსი წლის შემდეგ ჩვენ არ გავიმეორებთ კომუნარების შეცდომასო, ათავებს ზინოვიევი თავის სიტყვას.

ს. დ. აბრამოვიჩის სიტყვა ყვირილში და ღრიანცელში ჩატარდა. თქვენ არ გინდოდათ ერთის დაკვრით მოგესპოთ სამოქალაქო ომი. თქვენ ხელი მიჰყავით პოლიტიკურ ტერორს, რომელსაც ჩვენ არ ვიზიარებდით, იმიტომ კი არა, რომ ჩვენი ნერვები თქვენსაზე სუსტი იყოს, არამედ—სოციალ-დემოკრატიული რწმენა ამის ნებას ჩვენ არ გვაძლევს. ასტყდება ხმაურობა.

თქვენ ვალდებული ხართ მოგვისმინოთ ჩვენ, რომლებიც პროლეტარიატის სასარგებლოთ ვმუშაობდით მაშინ, როცა თქვენ სხვადასხვა კუნჭულებში იყავით მიმალულნი. ნუ შეგაცდენენ თქვენ ის ხიშტები, რომლებზედაც ახლა ემყარებით. ეს ბედი თქვენ დროებით გერგოთ. მხოლოდ ჟანდარმერიამ მოგანიჭათ თქვენ ეს ძალა-უფლება. მხოლოდ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებით თქვენ სოციალიზმს ვერ დაამყარებთ. ძალადობით ვერაფერს ვერ გახდებით. აბრამოვიჩის სიტყვის დასრულებას მარცხნიდან სტვენით შეხვდენ, მარჯვნიდან—ტაშით. საღამოს სხდომაზე ლენინმა პასუხი გასცა მოპირდაპირეებს. დაბოლოს სხდომამ მიიღო ბალშევიკების რეზოლიუცია, რომლითაც ნდობას უცხადებენ სახალხო კომისართა საბჭოს.

## შეიარაღებული ლხინით!

ზხამ-გესლით სავსე უგუნურება, გულღვარძლიანი, შურისძიება და ძმათა სისხლის წყურვილით გატაცებული, გონებადახშული შავრაზმელობა ბალშევიკების სახით მოგვევლინა; წითელი დროშის ქვეშ შეფარებული ძმათა სისხლის დამღვრელები, დემოკრატიული, მთლიანი რაზმების ერთი მეორეზე მიმსევნი აქაც მოგვევლინენ და მეხანათურათ თავს დაგვესხენ.

ამაზე მეტი საზიზღრობა, ამაზე მეტი ვერაგობა, ამაზე მეტი ღალატი და საძაგლობა განა კიდევ შეიძლება!..

ერთი მუჭა უგუნურები, პროვოკატორები ფარაჯა გადაცმულ რუს გლეხებს და მუშებს უსევენ ჩვენ ხალხს, დემოკრატიას, რომ ის გაანადგურონ, მიწასთან გაასწორონ და მით თავიანთ ფრაქცია გააბატონონ.

გაშმვლებული, ნიღაბ-ჩამოგლეჯილი ავანტიურისტები ალახნ.-ავარსკის ნაცვლათ თავს გვესხმიან და ჩვენ ქვეყანას ნაოხრათ ქცევას, დასამარებას უპირებენ!

ზიზღი, საშვილი-შვილო ზიზღი და წყევლა-კრულვა შავ-რაზმელ, რუსეთის და რევოლიუციის დამღუპავ ბალშევიკებს, რომლებიც თავის უგუნურობათ რუსეთის რევოლიუციონურ ხალხს სამარეს უთხრიან.

გადარეულმა სამსონებმა ® დონკიხოტებმა ქვეყანა დააქციეს, დაასამარეს, ნაოხრათ აქციეს. სისხლისა და ცრემლის მორევში ჩაახრჩეს მთელი რუსეთი და ამით ვითომ სოციალიზმი დაამყარეს; რუსეთის ხალხის საფლავზე ჯოჯოხეთური ხარხარით სოციალიზმის ნაცვლათ ანარქიას აბატონებენ.

და აი, ამ ავანტიურისტებს, რუსეთის და რევოლიუციის მესაფლავეებს ჩვენშიაც უნდათ თავისებური [soc]იალიზმის დამყარება ზარბაზნებით, ტყვის-მფრქვეველებით!..

დიახ, საზარელი წამი, საზარელი განსაცდელი ჩვენც მოგვადგა; ანარქიის ცეცხლი ირგვლივ აგუზგუზდა, საბედისწერო ზარი ჩვენთვისაც ჩამოიკრა!..

მაგრამ, იცით გულ ღვარძლიანო ძმათა სისხლის მსმელებო, როგორ შეხვდა რევოლიუციონური დემოკრატია თქვენს სამარცხვინო და საქვეყნოთ დასაგმობ პროვოკატორულ ავანტიურას? იცით რითი გიპასუხათ!!.

. ლხინით, შეიარაღებული ლხინით, ასე ყოფილა, ასეა.

დიახ, ლხინით პროლეტარიატის და სოციალიზმის მესაფლავენო!

წითელი რაზმი წითელი დროშის ქვეშ დაირაზმა და საბედისწერო ბრძოლის წინ ლხინი გამართა!

ხომ არ გეგონათ, რომ ლაჩრულათ დაგითმობდათ ის წითელ დროშას და აქაც ანარქიის ქარ-ცეცხლში დაგასამარებინებდათ რევოლიუციას და ქვეყანას?!

დიახ, ბრძოლის ქურაში გამოწრთობილ-გამოკვესილი ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი ბრძოლის ყიჟინით და ლხინით შეხვდა თქვენს სამაგალითო, საისტორიო უმზგავსოებას.

ს. პართენაშვილი.

## ძველი და ახალი დაწესებულებები

Чацкій: Дома новы, но предразсудки стары.

რევოლიუციამ დაამხო ძველი რუსეთი, შეანძრია ის კიდით კიდემდე და პირველ დღეებშივე დასცა ის ხროვა, რომელიც ითვლებოდა მთელი სახელმწიფოს ბატონ-პატრონათ და მბრძანებლათ.

ხალხი გულის ფანცქალით ელოდა რევოლიუციის შემდეგ ნაბიჯებს, ელოდა, რომ „ბატონების“ დამხობის შემდეგ, ძველი დაწესებულებები და ორგანოები ერთი მეორეზე, რიგ-რიგათ დაინგრეოდა და საბოლოოთ ისტორიის სავანეში ჩაესვენებოდა. ძველი წყობილების მოტრფიალე ზიზილ-პიპილოიან ბობოლა „ჩინოვნიკებიც“ დღე-დღეზე ელოდენ განსჯას და აღსასრულს. ზოგმა წინადაასწრო და გავიდა სამსახურიდან. უმეტესი ნაწილი კი „გარევოლიუციონერდა“ და გაუყარა ხელი თავის ხელქვეით დაბალ მოსამსახურეებს, რომლებიც ისე დამონებული ჰყავდათ, რომ როგორ შეეძლოთ არამც თუ მსჯელობა, არამედ—უბრალო სიტყვის შებრუნებაც კი საქმის ან თავის პიროვნების დასაცავათ, და მათ ვითომ რევოლიუციის საქმეს დაუწყეს სამსახური!

გავიდა ცოტაოდენი დრო, ასე თუ ისე ჩამოყალიბდა დროებითი მთავრობა; ამიერ-კავკასიას ერგო ეგრეთ წოდებული „ოზაკომი“, რომელმაც ძველ დაწესებულებებს ახლებიც მიუმატა და ძველებში კი კომისარები ჩააყენა, ზოგგან მთელი კომისიებიც; ეს პირები უმეტეს ნაწილათ ან ისევ „ჩინოვნიკობა“ იყო ანდა ისეთი პარტიების წევრები, რომ მათთვის სრულიად შესაძლო შეიქნა იმ ბობოლა „ჩინოვნიკებთან“, რომლებიც დღე-დღეზე დათხოვნას ელოდენ, კუდიკუდ გადაბმული განეგრძოთ დაწესებულებებში ძველ ყაიდაზე „საქმიანობა“.

ამ ნაირად შეიცვალა (ცოტაოდნათ) მხოლოდ ფორმა, შინაარსი კი ისევ დამყაყებული, ძველი დარჩა. მაგრამ ვინ გაუბედავდა ან გაუბედავს რომელიმე მათგანს შენიშვნის მიცემას; მაშინვე შეიქნებოდა რევოლიუციონური სიტყვების რახა-რუხი და მასთანვე რომელიმე მთავრობის წევრის ავტორიტეტზე მითითება.

საუბედუროთ, ეს მდგომარეობა დღესაც არ შეცვლილა და ვაკხანალია ისევ გრძელდება. ერთ წერილში ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითი ამიერ-კავკასიის მიწების მომწყობ კომისიის ცხოვრებიდან. იმას ბევრი სხვაც მიემატა. მათ შორის აღსანიშნავია ერთი უძველესი სამეჯნაო დაწესებულება—„მეჟევოე პრისუტსტვიე“. მის მაგივრათ, რომ ეს დაწესებულება ძირიან-ფესვიანათ დანგრეულიყო და დროს და საქმის შესაფერი კონსტრუქციის დაწესებულება აშენებულიყო, ამ დაწესებულების მესვეურთ წარუდგენიათ მთავრობისათვის ძველი შტატების გაფართოვება (უფრო მართალი რომ ვთქვათ, ჯამაგირების გაფართოვება), ვითომდა მიწების დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლათ, მაგრამ ამ მესვეურთ სრულიად არ უფიქრიათ იმაზე, რომ დეკრეტის სისრულეში მოსაყვანათ საჭიროა დემოკრატიულათ მოწყობილი დაწესებულება.

როგორც ამბობენ, ეს შტატი კიდეც დაუმტკიცებია კომისარიატს და იმ დაწესებულებაში მსახურთ უკვე დაუწყიათ „მიწის დეკრეტის ცხოვრებაში გატარება“: ერთი ამბით და თავის მტერევით ინაწილებენ მაღალ ადგილებს.

ესევე უნდა ითქვას ბევრ ახალ დაწესებულებებზედაც. მაგალითისთვის ავიღოთ ერთი მათგანი, რომელიც გუჩკოვის მფარველობის ქვეშ აღმოცენდა: სამხედრო სამრეწველო კომიტეტი. რა კეთდებოდა ან კეთდება იქ, რა უჯდება ის ხაზინას, ეს ძნელი გასაგებია, მხოლოდ წარმოდგენა კი შესაძლებელია. მაგ., ტყვეების მომწყობ კომისიიდან ამ დაწესებულებაში გადიყვანეს 25 „ჩინოვნიკამდე“ და ჯამაგირები დაუნიშნეს 350 მანეთიდან 700 მანეთამდე.

ამას მიუმატეთ ერთ-დროული დახმარება, კამანდიროვკები, დღიურები, იაფ ფასებში სხვადასხვა სურსათის დარიგება და წარმოვიდგენთ რა იხარჯებოდა მარტო ამ პატარა კუნჭულზე სამრეწველო კომიტეტისა. იყო კი საჭირო (ან არის საჭირო) ეს ორგანიზაცია ამნაირი მასშტაბით? საჭიროა ამისი გაშუქება.

ამნაირათ, ხალხის და მათ შორის „ჩინოვნიკობის“ დემოკრატიული ნაწილის გულის ფანცქალი დღესაც გრძელდება, მაგრამ მათ ჯერ იმედი არ დაუკარგავთ, რომ ამ მოკლე დროში განახლდება ყველაფერი და მასთან ერთათ აღიგვება ძველი დაწესებულებები და ის ბობოლა „ჩინოვნიკები“, რომლებიც ასე თვალთმაქცათ ეარშიყებიან რევოლიუციას და ვითომდა დემოკრატიულ წყობილებას ემსახურებიან. უნდა ვიფიქროთ, რომ კომისარიატი და მომავალი სეიმიდან შემდგარი მთავრობა შესაფერ ზომებს მიიღებს და უკანასკნელათ მოსპობს ძველი წყობილებისაგან ნაანდერძევ დაწესებულებებს.

ი. მეხხი.

## სპარსეთის ამბები

ვერც სპარსეთის მშვიდობიანი მცხოვრებნი გადაურჩა ბალშევიკების უტაქტო და ანარქისტულ გამოსვლებით „გარევოლიუციონერებულ“ ჯარის მავნე მოქმედებას. და თუ რევოლიუციის პირველ ხანებში აღფრთოვანებული ეგებებოდენ სპარსელები რუსეთის თავისუფლებას, რომელმაც, ეჭვს გარეშეა, სპარსელებიც გაანთავისუფლა რუსეთის ორთავიან არწივის ბრჭყალებისაგან, დღეს დიდათ გულგატეხილი შეყურებენ რუსეთს, ვინაიდან, მათი შეხედულობით, იმ უწესოებას, რომელსაც სჩადის „რევოლიუციონური“ ჯარი არ უნდა ჰქონიბოდა ადგილი თავისუფლების მოყვარე ხალხში. ჯარისთვის ყველა ტვირთმძიმენი, რომელ ერსაც არ უნდა ეკუთვნოდეს ისინი, თანასწორი უნდა ყოფილიყვენ. მაგრამ, სამწუხაროთ, შეუგნებელი ჯარის ნაწილები, არ ინდობენ არც გარეშეს და არც შინაურს. ვინც შეხვდებათ განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა ყველას აწიოკებენ. განა შესაძლებელია ყველა იმის აღწერა, რასაც გაბალშევიკებული ჯარისკაცები სჩადიან?

იტაცებენ გზადაგზა ცხვრებს, თუ წინააღმდეგობა გაუწიეს, კლავენ მწყემსებს. ანადგურებენ სხვადასხვა საქონლის საწყობებს, სავაჭროებს, სწვავენ და იტაცებენ თვით რუსეთის რესპუბლიკის სიმდიდრეს. ჩალის ფასათ ყიდიან ნადავლ საქონელს, ყიდიან თოფებს, პატრონებს, ცხენებს და სხ. იტაცებენ თათრების ქალებს და მოჰყავთ რუსეთისაკენ. დღე არ გაივლის ისე, რომ საზღვარზე თითო-ოროლა ქალი არ დაატოვებიონ ეშელონებს. 31 დეკემბერს ურმიის ტბასთან ს. შერაფხანეში წუთისოფელს გამოასალმეს სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა, ციმბირიდან დაბრუნებული ზაქარია ილიას ძე მაჰავარიანი იმიტომ, რომ თავისი და და საცოლე არ დაანება გამხეცებულ ჯარისკაცებს პირუტყვულ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ.

რუსის ჯარისკაცების ასეთმა „რევოლიუციონერობამ“ გული გაუტეხა სპარსეთის ზოგიერთ საზოგადო მოღვაწეებსაც, რომლებიც იძახიან რუსეთისთვის ჯერ კიდევ ნაადრევი ყოფილა თავისუფლებაო. ამით ხანებს და ბეგებს შესაფერი მასალა ეძლევა. ისინი ეწევიან კონტრრევოლიუციონურ აგიტაციას, რომ კიდევ დიდხანს იყოლიონ სპარსეთის მშრომელი ხალხი მონობაში. მაგრამ სპარსეთის რევოლიუციონერებსაც არ სძინავთ და ახლოვდება ის დრო, როცა სპარსეთის დემოკრატიაც მოსპობს ხანებისა და ბეგების ბატონობას. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ხშირათ დგამენ რევოლიუციონურ შინაარსის პიესებს და წარმოდგენის დროს გამოდიან ორატორები, მოუწოდებენ ხალხს ძმობა-ერთობისკენ.

28 იანვრის წარმოდგენა სად. პადგურსკაიაში (სპარსეთი) პირდაპირ მიტინგათ გადააქციეს. მუსულმანების ორგანიზაციის წარმომადგენელმა მოუწოდა ყველა მუსულმანებს ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ შეერთებისაკენ. კაცობრიობის ხსნა მხოლოდ ყველა ერების ძმურათ შეკავშირებაშიაო—სთქვა ორატორმა, რასაც მქუხარე ტაშის ცემით მიეგება დამსწრე საზოგადოება.

მიტინგები და კრებები თითქმის ყოველ დღე იმართება სად. პადგურსკაიაში. 9 იანვარს პირველათ იქნა აფრიალებული ს.-დ. ორგანიზაციის მეთაურობით წითელი დროშა, მარქსისა და ლასალის სურათით დროშაზე. რუსულათ, ქართულათ, სპარსულათ და სომხურათ აწერია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ სხვადასხვა ენებზე აუხსნეს დამსწრეთ 1905 წ. 9 იანვარს პეტროგრადში მომხდარ ტრაღედიის მნიშვნელობა. ხალხმა ფიცი დასდო უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ თავისუფლებისთვისო.

გურული მუშაკი.

## რუსეთის ამბები

**პეტროგრადის ქარხნებში** ენერგიულ აგიტაციას ეწევიან ბოლშევიკები სახალხო კომისართა საბჭოს წინააღმდეგ. ბონჩ-ბრუევიჩმა მოხსენება გაუკეთა ბალშევიკურ მთავრობას იმის შესახებ, რომ ანარქისტებს დიდი გასავალი აქვთ მუშებში. საჭიროა ეხლავე იქნას სასტიკი ზომები მიღებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალაუფლებას ანარქისტები ჩაიგდებენ ხელში.

„ნოვაია ჟიზნის“ გადმოცემით პეტროგრადში უკვე დაიწყო შიმშილის ნიადაგზე არეულობა. მუშების ჯგუფი, განსაკუთრებით ქალებისა შეგროვდა კრონის ქარხანასთან, სადაც როგორც მუშები ამბობდენ თითოეულმა მუშამ სულზე მიიღო 6 ფუთი ქართოფილიო. აქ სამწუხარო სცენებს ჰქონდა ადგილი. დედაკაცები მუხლ-მოდრეკილნი ემუდარებოდენ—ხუთ-ხუთი გირვანქა ქართოფილი მაინც დაგვითმეთო. ჩვენ მშივრები ვართ და გაგვიშვით ქარხნის ეზოშიო. ქარხნის დამცველმა წითელ-გვარდიელებმა ისინი არ გაუშვეს. „გვესროლეთ თოფები, ჩვენ აქედან არ წავალთ, მშივრები ვართო“. წითელ-გვარდიელებმა დამხმარე ძალა მოითხოვეს, მაგრამ ასეთი ძალის მაგივრათ გაგზავნეს დეპუტაცია, რომ დაემშვიდებიათ ისინი, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. მუშები შეიჭრენ ქარხნის ეზოში და დაიწყეს იქვე მიწაზე დაყრილ ქართოფილის ჭამა. მთელი დღის განმავლობაში ჯარისკაცებმა და მუშებმა რამდენიმე სავაჭრო დაარბიეს. პეტროგრადის მხარეზე მცხოვრებთ ორი დღეა პური არ მიუღიათ. სმოლნში გაგზავნეს დელეგაცია. მას შემდეგ, რაც შემცირეს პურის ულუფა აუტანელ მდგომარეობაში ჩაცვივდენ ციხეები და სავავათმყოფოები.

**ბრძოლა ფინლიანდიაში.** ფინლიანდიაში თავგანწირული ბრძოლა დაიწყო წითელ და თეთრგვარდიელებ შორის. ქ. ტამერფორსი ნამდვილ ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენს. ქალაქში თხრილები და ტრანშეები არის გაკეთებული. პოზიციებზე ზარბაზნები სდგას. ქუჩებში ჯარისკაცები და წითელ გვარდიელები მიდი-მოდიან. აქ არის წითელ გვარდიელების და რუსი რაზმელების მთავარი შტაბი. იქვე ქუჩაში რუსი ინსტრუქტორები ავარჯიშებენ ფინლიანდიელ მუშებს თოფის ხმარებაში და სხვა.

წითელ გვარდიის შტაბის განკარგულებით გამოცხადდა მთელ ტამერფორსის ოლქის ყველა მუშათა მობილიზაცია. გენერალმა მანგეიმმა თეთრი გვარდიის დიდი რაზმი წამოიყვანა ტამერფორსისკენ. პეტროგრადიდან წამდაუწუმ მოდის ტყვის-მფრქვეველებით და ტყვიებით დატვირთული ჯავშნიანი მატარებლები. ტამერფორსსა და ვიბორგს შუა სდგას თეთრ-გვარდიელთა ძლიერი ჯარი.

**მუშათა და გლეხთა წითელი ჯარი.** სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარმა გამოაცხადა: სახალხო კომისარების საბჭომ დაადგინა შეადგინოს ახალი ჯარი შემდეგ სახელწოდებით „მუშათა და გლეხთა წითელი ჯარი“. წითელ ჯარში შედის რუსეთის რესპუბლიკის ყველა მოქალაქე 18 წლისაზე არა ნაკლები, რომელსაც უნდა თავის ძალ-ღონე და სიცოცხლე ოქტომრის რევოლიუციის მიერ მოპოვებულ უფლებების და სოციალიზმის დასაცავათ მოახმაროს. ჯარში შესვლისთვის საჭიროა ჯარის კომიტეტების ან პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების რეკომენდაცია. ჯარი სახელმწიფო ხარჯზე იქნება და თვიეთული გარდა ამისა მიიღებს თვეში 50 მან. იმ ჯარისკაცების ოჯახები, რომლებიც წინათ მათ ხარჯზე იყვენ უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმწიფოსგან.

**რუმინელები ბესარაბიისკენ მოდიან.** რუმინიის ჯარი ბესარაბიაზე იერიშით მოდის. რუმინელებს განზრახვა აქვთ კიშინევს ალყა შემოარტყან. ჯარის ზოგიერთი ნაწილები სადგურ რენის ახლოს არიან. ბალშევიკებიც ძლიერ ემზადებიან დასახვედრათ, მათ უნდათ კიევიდან სძრან ჯარი რუმინელების წინააღმდეგ.

**შინგარევის და კოკოშკინის მკვლელთა საქმე.** ამ ახლო მომავალში პეტროგრადში რევოლიუციონური ტრიბუნალი გაარჩევს შინგარევის და კოკოშკინის მკვლელთა საქმეს. უკვე გამოარკვიეს მკვლელ მეზღვაურების ვინაობა. დიბენკო იმედს იძლევა, რომ საქმის გარჩევის დროს ყველა მეზღვაურებს ტრიბუნალში მოიყვანო.

**რკინის გზის მუშების ხელში გადასვლა.** მოსკოვ-ვინდავა-რიბინსკის რკინის გზა მუშების ხელში გადავიდა. გამგე გადააყენეს.

## უცხოეთი

**გაფიცვები ბერლინში.** გაზეთი „ფოსიშე ცაიტუნგი“ იტყობინება, რომ გამბურგში მთელ ნავთსადგურში მუშაობა შეწყვეტილია. გაიფიცენ ყველა მუშები. გაფიცულები ქალაქის სახლისკენ წავიდენ, სადაც კრება იყო. ფაბრიკის საბჭომ განაცხადა, რომ ყველა მოთხოვნებს შეატყობინებენ მთავრობას და მოითხოვენ დაკმაყოფილებას.

კილში გაიფიცენ ნავთსადგურის ყველა მუშები. ფურნეებს ჯარისკაცები იცავენ. ინფელდში ამუნიციის ყველა ფაბრიკები გაჩერებულია. ნიურენბერგში გაფიცვამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო. ქუჩაში მუშებმა დემონსტრაცია მოახდინეს და ზავი მოითხოვეს.

ბერლინში ათი კაცისაგან შესდგა კომიტეტი, რომელმაც მოლაპარაკება უნდა დაიწყოს მთავრობასთან და მოსთხოვოს მას სურსათის სამართლიანათ განაწილება, დემოკრატიული ზავი, და გაფიცვის ყველა ხელმძღვანელთა განთავისუფლება, რომელნიც დატუსაღებულნი არიან. გაფიცვაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო დამოუკიდებლები, არამედ—ძველი პარტიაც.

ბერლინიდან იტყობინებიან, რომ უცნობი გაფიცვის ორგანიზაცია, რომელიც თავის თავს საბჭოს უწოდებს, იტყობინება, რომ გაფიცვებმა გერმანიაში გრანდიოზული ხასიათი მიიღეს. პირველ დღეს გაიფიცა 250000 მუშა. ქარხნების დელეგატები შეიკრიბენ პროფესიონალურ კავშირების შენობაში და შეადგინეს მუშათა დეპუტატების საბჭო. სხვათა შორის საბჭოში ერთი ქალიც ამოირჩიეს. აგრეთვე რეიხსტაგის ორივე სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის წარმომადგენელნი. ამ კომიტეტს დაევალა გაფიცვის ხელმძღვანელობა. კრებამ შვიდი მოთხოვნა წამოაყენა.

17 იანვარს მარტო ბერლინში გაფიცული იყო ნახევარი მილიონი მუშა. ბერლინიდან მოძრაობა პროვინციებშიაც გადავიდა.

**ზავი რუმინიასთან.** ცენტრალურ სახელმწიფოებს უნდათ ზავი შეჰკრან რუმინიასთან. გერმანიის გაზეთები აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ რუმინიამ აღმოსავლეთისაკენ ნაციონალურ მისწრაფებაზე უარი უნდა სთქვას და უკეთუ ბოლგარიამ დობრუჯა მიიღო, სამაგიეროთ მას მისცემენ ბესარაბიას.

**იერიში ვერდენზე.** ამ უკანასკნელ ხანებში გერმანელებმა კვლავ განაახლეს ვერდენზე იერიშები, მაგრამ ფრანგები მედგრათ იგერიებენ.

## ქუთაისის ამბები

ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა შემდეგი მოწოდება გამოსცა:

უმაგალითო სისხლის ღვრამ, რომლის მსგავსი ჯერ კაცობრიობას არ ახსოვს, წარმოშვა მრავალი ისეთი მოვლენა, რომელიც ადამიანისათვის დღემდის დაუჯერებელი იყო. ას წლობით აწყობილი და აშენებული ცხოვრება, რომლის შექმნას მრავალმა თაობამ შეალია თავისი სიცოცხლე ძირიანათ შეირყა და აიწეწა. მებრძოლ სახელმწიფოდან მოვლენილმა ცეცხლმა და მახვილმა მოსპო სრულიად და გაანიავა მრავალთა სახლკარი, ქონება და სიმდიდრე, აღგავა დედამიწის პირისაგან მთელი ას წლობით შექმნილი კულტურის მშვენიერი ნაყოფი, გამოასალმა წუთისოფელს სიცოცხლითა და ახალგაზრდობით აღსავსე ადამიანნი, რომელთა სახით, ვინ იცის, რამდენი ძვირფასი აუნაზღაურებელი მსხვერპლი შეიწირა დედამიწამ. სხვა უბედურებათა შორის ჩვენს წინაშე დგება საშინელი საკითხი, საკითხი რომელიც დაუყონებლივ გადაჭრას მოითხოვს. საქმე ეხება ხალხის ფიზიკურ არსებობას არ გვაქვს პური, არსაიდან ველით მას, ჩვენი სოფელი სიმინდს არ იძლევა.

სამოქალაქო ომმა, რომელიც ჩრდილო კავკასიაში საშინელ ხასიათს ღებულობს, თითქმის მოგვისპო საშუალება ხორბლისა და ფქვილის მიღებისა. რკინის გზა სხვადასხვა მიზეზების გამო მოკლებულია გადაზიდვის საშუალებას. საზოგადოთ, ტრანსპორტი დაუძლურებულია. ასეთია დღევანდელი მდგომარეობა, ამისათვის მოგიწოდებთ მოქალაქე

[illegible]

## პირველი და უკანასკნელი პასუხი გ-ნ ვილის

[illegible]

## თეატრი და ხელოვნება

[illegible]

გულწრფელობაში, მაგრამ კვლავ წამოიჭრება ირაკლი და აცხადებს, რომ ბერგია მოღალატე და გამცემი. მაგრამ დამსწრენი კვლავ ნდობას უცხადებენ ბერგს. ირაკლი სტოვებს კრებას, დამდენიმე წამის შემდეგ იძახის, თავს უშველეთ, თქვენსკენ ჯარი მოდისო. ყველანი გარბიან ოთახიდან. რჩება მხოლოდ ძველი ხელმძღვანელები თედორე პატრიშვილი და ლადო ხოველი და ბერგი. თედორეს და ლადოს ატუსაღებენ. როცა ბერგს მიუახლოვდებიან,—ხელები შორს, ოცდა ერთი ნომერი ჯვრით—შესძახა მან. ეს პაროლი ჟანდარმებისათვის ნაცნობი იყო. მათ მოკრძალებით მისცეს სამხედრო სალამი ბერგს. განო ლიმაური, რომელსაც თავდავიწყებით უყვარს ბერგი, ამის შემდეგაც არ არის დარწმუნებული მის მოღალატეობაში და ერთგულათ უვლის ირაკლის მიერ დაჭრილ ბერგს. ირაკლი მიდის საავათმყოფოში და უხსნის საქმის ვითარებას განოს. განოს „ნომერი ოცა ერთი ჯვრით" ეჭვებს აღუძრავს. ეს ეჭვები სავსებით მართლდება, როცა ბერგის სანახავად მოდის როტმისტრი შვილიევი. როტმისტრმა და განომ იცნეს ერთმანეთი. როტმისტრს ახალგაზრდობისას უყვარდა განო, მაგრამ განოს მხრით თანაგრძნობა ვერ გამოიწვია. როტმისტრმა უამბო განოს სიმართლე ბერგის შესახებ. ახლა კი მიხვდა განო, რომ მართალი იყო ირაკლი, რომელიც თავიდანვე აფრთხილებდა მას და რომლის სიყვარულს განო ასე გულციოვათ შეხვდა. და როცა ირაკლის ჟანდარმები ჰკლავენ, განო მივარდება ავათმყოფ ბერგს და თავის ხელით ღრჩობს მას, თვითონ კი ჭკუას კარგავს.

რაც შეეხება მსახიობების თამაშს, საერთოდ იგი ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. თითქმის არც ერთმა როლი კარგათ არ იცოდა. თ. გოგოლაშვილის (განო ლიმაური) მოხდენილ თამაშმა, განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში, გამოაკეთა საქმე და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა კარგი იყო ალ. შანშიაშვილი ირაკლი კოვზირიძეს როლში. ჩვეულებრივათ უნაკლოთ შეასრულა თავისი როლი ნ. გოცირიძემ (გარეგინ ყარდაშიანი).

ვენ—სონ.

## სოც.-დემ. პარტიაში

28 იანვარს შესდგა რ. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის წევრთა კრება. კრებას უნდა აერჩია თფილისის კომიტეტის წევრები და საოლქო კომიტეტში დროებით დელეგატების გაგზავნის საკითხი გადაეწყვიტა. ილაპარაკეს მარქარიანმა, ოგულავამ და სხვებმა. ბოლოს მოხდა არჩევნები; აირჩიეს არ. მარკარიანი, ვარლამ კალანდაძე, ევტიხი ლორია, ჯანბერიძე და პ. რეხვი.

ტიხონი.

## მუშათა შორის

**ქ. სოხუმი.** სოხუმის ნოქარ-შეგირდები ისეთივე მდგომარეობაშია, როგორშიაც იყვნენ ძველი რეჟიმის დროს. საბრალონი მთელ თავისუფალ დროს კარტ ნარდის თამაშში და არყნით ქეიფში ატარებენ. მათთვის არ არსებობს არავითარი ნორმალური დასვენება, არ აქვთ არავითარი ორგანიზაცია. მათ ვერ შეუგნიათ დღევანდელი მდგომარეობა. ჟურნალ-გაზეთებს ხომ სათ-ფეთ არ ეკარებიან. ასეთ პირობებში, რა გასაკვირალია, რომ მათი შეუგნებლობით სარგებლობენ ხაზეინებიც და 10—12 საათს ამუშავებენ. ხშირია შემთხვევა უქმედღეებშიაც მუშაობისა. ერთხელ ერთმა ამხანაგთაგანმა ნოქარმა დაცინვის კილოთი მკითხა, როცა ხელში გაზეთი შე-

[illegible]

ბრის უკანასკნელ რიცხვებში დაიბადა აზრი საგამომცემლო ფონდის შეგროვებისა რამოდენიმე ძველის ან ახალი ბროშიურის გამოსაცემად. სამწუხაროდ ამ მხრით ბიურომ არ დაცალდა ბევრის გაკეთება. გამოსცა მხოლოდ ერთი წიგნაკი „ინტელიგენცია და მუშათა კლასი". გაზეთები ას ცალამდე ვრცელდებოდა დღიურად მთელ მუშებში. მუშები, ეწერებოდენ ს. დ. პარტიაში და მას უწევდენ როგორც ნივთიერ ისე მორალურ დახმარებას. დეკემბრიდან მუშაობა გათავდა და მუშები წავიდ-წამოვიდენ. თუმცა ბიურო არ დარღვეულა; მაგრამ წრეებში მუშაობა დროებით შეწყდა „ამტელის" მუშების წასვლით. შემდეგ მარტო რკ. ზგის მუშებისაგან შემდგარ წრეში დაიწყო მეცადინეობა, მაგრამ აქაც მათი რიცხვი შემცირდა დღიურების მოხსნით და საქმე შეფერხდა. დეკემბერში მოლითში დაარსდა ახალი ორგანიზაცია რ. ს. დ. მ. პ. ამჟამათ მარელისშიაც სურთ ამხანაგებს ორგანიზაციის დაარსება. ყველა ეს იმის დამამტკიცებელი იყო, რომ პარტიული მუშაობა ღრმავდებოდა. ამასთანავე ყველა ეს მუშები არიან შემოკრებილი ყვირილის მუშათა დეპ. საბჭოს გარშემო თავიანთი წარმომადგენლობის სახით. იანვრიდან სისტემატიური მეცადინეობა შეწყდა და ყველაზე მეტი ზიანი ამან ძირულაში მოიტანა, სადაც არა სასურველ მოვლენებს აქვს ადგილი, განსაკუთრებით ქარხნების მუშებში. აქ საჭიროა განახლებულ იქმნას მეცადინეობა. ხარაგოულში მუშაობა დღესაც არის.

პრომეთეოსი.

## ანგარიში

ბახვის რაიონის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პ. 1917 წ. 1-ლ მარტიდან 1918 წ. 1-ლ იანვრამდე შემოსული:

| | | |
|---|---|---|
| საწევრო | 630 მ. | 35 კ. |
| საარჩევნო ფონდის | 1204 „ | „ |
| პირველ მაისობას შეგროველი | 404 „ | 29 „ |
| ვარლამ მელუას მიერ შეგროვილი შემოწ. | 20 „ | „ |
| გაყიდულ წიგნებიდან | 52 „ | 30 „ |
| სულ | 2310 მ. | 94 კ. |

გასავალი:

| | | |
|---|---|---|
| გაიგზავნა პრესის სასარგებლოთ | 150 მან. | |
| გადაეცა ცენტრალურ კომიტეტს პროცენტები | 394 „ | 58 „ |
| დელეგატების გაგზავნა ორხელ თფილისში | 192 „ | 83 „ |
| ძველ ვალში | 15 „ | „ |
| დროშის დასამატი | 20 „ | „ |
| ცენტრალურ კომიტეტის სამი წევრის ხარჯები | 96 „ | „ |
| ბროშიურებში | 113 „ | 29 „ |
| ცენტ. კომიტეტს საარჩევნო ფონდის ფულებიდან | 992 „ | „ |
| საკანცელიარო ხარჯი | 12 „ | „ |
| წვრილმანი ხარჯები | 7 „ | 33 „ |
| დახმარება ვალ. გოგუაძეს | 20 „ | „ |
| სულ | 2013 მ. | 03 კ. |
| კასაში რჩება | 297 „ | 91 „ |

ბახვის რაიონულ კოლექტივის თავმჯდომარე **ხარიტონ ჟელიძე**, მდივანი **მ. სიხარულიძე**.

## პროვინცია

**ს. ბახვი** (გურია). ბახვის რაიონულ ორგანიზაციამ მიიღო გურიის ცენტრალურ კომიტეტიდგან 50 თოფი (ვინტოვკა). ეს იარაღი ბახვის რაიონულმა კოლექტივმა გადასცა ადგილობრივ სამხედრო კომისიას. სამხედრო კომისიამ ეს იარაღი შემდეგნაირათ გაანაწილა: პირველად მოიწვია ორმოცდა ათი პარტიის წევრი გასაწვრთნელად. ამ ორმოცდა ათ

[illegible]

კაცს აქვს კვირაში ორხელ მეცადინეობა. სასურველი იყო უფრო მეტი იარაღის შეძენა.

შავი.

**ხონი.** აქაურ ბოლშევიკებს ასე ჰგონიათ, რომ ყველა ადამიანი, ვისაც კი სალდათის შინელი აცვია, მათი მომხრეა და ყოველთვის მხარს დაუჭერს მათ შეუსაბამო მოქმედებას. მე მართალია, შინელში ვარ გახვეული და სამი წელიწადია თხრილებში ვარ, მარა მათ მოქმედებას მხარს მაინც ვერ დავუჭერ. და ეს იმიტომ, რომ ჩემის ღრმა რწმენით ისინი შემცდარათ მოქმედებენ და შეუგნებელ ხალხს დაღუპვისაკენ მიაქანებენ.

როგორც ვიცით, სოფლათ ბევრი ჯარისკაცი დაბრუნდა ეხლა. ყველა ჩვენთაგანს მოეწყინა ამდენი ტანჯვა-წვალება, მოსწყინდა ძაღლური ცხოვრება და რაკი ვეღირსეთ შინ მოსვლას, გვინდა მოვისვენოთ სულითა და გულით, გვინდა მივეცეთ მშვიდობიან ცხოვრებას: დავსტკბეთ ოჯახური ბედნიერებით, განვაგრძოთ შეწყვეტილი მუშაობა და სხვა. ერთის სიტყვით, გვინდა გადავიქცეთ მშვიდობიან მოქალაქეთ. მარა ამ დროს გამოდიან ბოლშევიკები და გვეუბნებიან:

— ჯერ კიდევ ნუ აიყრით აბჯარს, არ დაყაროთ თოფები, საშინაო ომი უნდა ვაწარმოვოთ, შინაურებს უნდა ვებრძოლოთო.

და მოგვიწოდებენ დავაარსოთ ხონში სალდათთა საბჭო. არ ვიცი რა ხალხთან გვაქვს საქმე. ერთს ომს გადავურჩი ცეცხალი და ეხლა მეორეში გავება? სანამ ტყვია არ განმიგმირავს გულს, მანამდის არ მომეშვებიან? რათ გვინდა ხონში სალდათთა საბჭო? ჩვენ დღეიდან ჯარისკაცები კი არა ვართ, არამედ მუშები ვართ, მიწის მთოხნელნი. რისთვის უნდა გამოვეყოთ ჩვენ გლეხებს, რათ უნდა დავშორდეთ ჩვენს მამებს და ძმებს? განა ვერ მოვთავსდები იქ, სადაც მამაჩემია? აქამდის მოწყვეტილი ვიყავი სახლს და ჩემიანებს და ეხლაც მოვწყდე? ვერა, მე ამას ვერ ვიზამ და ყველა შეგნებულ ჯარისკაცს ვურჩევ გულწრფელად—ნუ დაადგება ამ გზას.

ორგანიზაცია და შეკავშირება რომ საჭიროა ვინ არ იცის, შევადგინოთ გლეხთა საბჭოები და ჩვენც, ჯარისკაცებიც შევალთ შიგ. რა საჭიროა ჩვენი ცალკე გამოყოფა, რათ უნდა დავუპირდაპირდეთ ჩვენ, ყოფილი ჯარისკაცები, ჩვენს ძმებსა და მამებ[illegible]? ვგების ხონის უსუსური ბოლშევიკები ფიქრობენ, რომ ჩვენებისავე საწინააღმ[illegible] წაგვიყვანებენ და თოფს დაგვაშენ[illegible]ენ მათთვის? შემცდარი ბრძანდებით, ბატონებო, ჩვენ ომი კი არა, დღეს მშვიდობიანი ცხოვრება გვჭირდება და ტყუილა ნუ ამღვრევთ წყალს, ნუ ცდილობთ ხალხის აწიოკებას, დაეხსენით ისედაც გატანჯულ ხალხს და ნუ უმღვრევთ მშვიდობიან ცხოვრებას.

მე ამ წერილით მივმართავ შეგნებულ სალდათებს და გლეხებს და ვურჩევ ყველას საერთო ორგანიზაციაში თავდაყრას და მშვიდობიან სამოქალაქო ცხოვრების ზიდვას. ასეთ პირობებში საერთო მტერსაც საერთოთ გავცემთ პასუხს და ერთმანეთსაც არ ამოვჟლეტთ. ბოლშევიკების გზა კი პირდაპირ დაგვღუპავს!

**ხონელი სალდათი.**

## ცნობები

### ჯარის-კაცთა შესახებ.

ჯარისკაცი ივაკი მოლაშხია მსახურებდა მე-221 პოლკში მე 5 როტაში. დღიდან სამხედრო სამსახურში გაწვევისა მისგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია. თუ ვინმემ იცის მის შესახებ რამე, ვსთხოვთ გვაცნობონ შემდეგი მისამართით: წალენჯიხის საზოგადოების (სოხუმის ოლქი) მცხოვრებს ბართლომე მოლაშხიას.


კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.

სახალხო სახლ. არს. ქართვ. წარმ. მმართველი წრე კვირას 4 თებერვალს 1918 წ. წარმოდგენილი იქნება მეორედ ქართულ სცენაზე ორიგინალური პიესა

№ 21 †

ნომერი ოცდაერთი ჯვრით

დრამა 4 მოქმ. ია ეკალაძესი. **მოქმედება ხწარმოებს 1907 წ.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ე. ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ვ. მარგველაშვილი, ნ. ნინონი, ბ-ნნი ნ. გოცირიძე, მამაჯანოვი, ი. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, ს. რომანიშვილი, სალაყაია, თავდგირიძე, გ. ჯაბაური, ამბ. იველელი, ვ. კობახიძე, ალ. შანშიაშვილი და ნ. ჰანკვეტაძე.

**დასაწყისი საღამოს 7 საათ. ადგილების ფასი 1 მ. 40-დან 35 კ-მდე.**

ბილეთების კასა ღიაა ყოველ-დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 საათ. წრის ადმინისტრაცია სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. ბავშვების შეშვება თეატრში და ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია.

შემდეგი წარმოდგენა 13 თებერვალს. რეჟ. კ. შათირიშვილი, რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე. ქართ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია. (2—1)

სამკურნალო კაბინეთი ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი

გ. დონხინი

ყოფილ ასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს

თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის

გ. გ. მეგრაბიანცისა

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჰლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი

დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული პალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

ექიმი ა. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ვ. გ. ვეშხაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

კოოპერატივებო და კოოპერატორებო,

დაეხმარეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფულის მოგროვებით, ყოველმა კოოპერატივმა წმინდა მოგებიდან უნდა გადასდოს ნაწილი საბჭოსათვის.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.
ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირი.

ჩვენი ხალხის საყურადღებოთ

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის სასარგებლოთ

მიიღება ეროვნულ საბჭოს სამდივნოში (ფრეილინის ქუჩა, № 11 საკუთარი სახლი) დილის 11-დან 3 საათამდე.


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.